


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბოტიც ბეჭდუბი სიფყაა, ფყილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცანა ყველა უკადრისბბბე უსბბბგლყსია.

დაარსებულია 1918 წელს.
 პარასკევი, 5 სექტემბერი, 2014 წელი.
 №179 (7560)

რუსულში

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

„ხადავუიკი“ ხარკიანი და ② კონსტიტუციონალისტი დამატრუვილი,

ანუ, ერთი უხედავით, თითქოსდა, სად უბრალო ავტონომოსანი და სად - პროფესორი, მებრამ...

პროკურატურამ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადების თხოვნით ინტერპოლს მიმართა

სამართლებლო მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის „წითელ ცირკულარით“ ძებნის მოთხოვნით ინტერპოლს მიმართა. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ექს-პრეზიდენტზე ძებნა 190-ზე მეტ ქვეყანაში გამოცხადდება. პროკურატურა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილების მოლოდინშია.

reportiori.ge

ღღის ამოცანურიდან

შაში სირკულარის განთავსების მოლოდინისა

— სანამ ცირკულარი განთავსდებოდა და ქართული დემოკრატიის ნაშუქურალ ქართველ ამერიკელ დედასერთა მიშეკუნას უკვე წითელი ცირკულარით დაუწყებენ ძებნას, ვაჟა-ფშაველას მთებისა არ იყოს, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს ლოდინი... ოღონდ ამჯერად იმისავე სახალხო-საგანმანათლებლო ბიბლიოთეკაში არა დგომა, არამედ ჯდომა აჯობებს, და თუ მთებზე ამბობდნენ, დგანან და ელიანო, ჩვენზე იტყვიან, სხედან და ელიანო...

ახლა მთავარია, ამ საგანმანათლებლო ცენტრის ცერბერად დანიშნულმა ბარნოვმა მოგვცეს შიგ შესვლის უფლება. მაგრამ იქ შესვლას ერთი დიდი საშიშროებაც ახლავს, ვაითუ ცერბერმა ბარნოვმა უკან აღარ გამოგვიშვას და რა წიგნებიც ნაპრეზიდენტალს არ წაუკითხავს (როგორც ამბობენ, წიგნები კი არა, „თხა და გიგოც“ ბოლომდე წაკითხული არა ჰქონია), სულ ჩვენ გვაიძულოს იმათი წაკითხვა... ჩვენც რა გენაღვლება, ვისხდეთ, ვიკითხოთ სააკანთ ბიჭის მაგიერად და ველოდოთ წითელი ცირკულარის ამუშავებას.

ისე, ციხეში ჯდომისას, თუ თავისივე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სრულ წაკითხვასაც მიუსჯიან, სასჯელის მოხდის შემდეგ ნამდვილად სულხორციანად გამოცვლილ სხვა მიხეილ სააკაშვილს მივიღებთ, რომელსაც, როგორც უკვე წიგნიერსა და ჭეშმარიტად უკვე წაკითხ პიროვნებას, ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც უნდა მიეცეს.

არჩა, ბილობილი ვასვათ ღემაგობ მიუიისტეზს!

ნახიონალაგის „საიონე“ წულკიანის შედეგ, ჭიკაიკე გასლა

3

თუ უკრაინაში კონფლიქტი რუსული სცენარით დასრულდა, შესაძლოა, საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვალოს

5
8

მოსკოვი ღემაგე აუუგაგეგენ მებრულ-აფხაზური საკლენიფოს უმქენის გეგეგ

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვგებან ვერ ნახავ!..



გიორგი მარგველაშვილი ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა

საპარტიო პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ნატოს სამიტის ფარგლებში პირველი ორმხრივი შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან გამართა.

ქვეყნის პირველი პირისა და ნატოს გენერალური მდივნის შეხვედრა ალიანსის სამიტის ოფიციალურ განცხადებაში გახსნილია და მხარეებმა ამ სამიტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უკრაინის კრიზისის ფონზე სამიტს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა აქვს რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერების აუცილებლობის თვალსაზრისით.

პრეზიდენტმა ნატოს გენერალურ მდივანს მადლობა გადაუხადა საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე და განაცხადა, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ის, რომ ალიანსი სათანადოდ აფასებს საქართველოს პროგრესს.

მხარეებმა ყურადღება იმ პაკეტზე გაამახვილეს, რომელსაც საქართველო ამ სამიტის შედეგად მიიღებს. როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, ქვეყნისთვის ეს იქნება უმნიშვნელოვანესი იმპულსი ნატო-ში ინტეგრაციისთვის მოსამზადებლად და პროცესის უკეთესად წარმართვისთვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მიაი ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიანაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიას, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი.

ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, ნატოს ღია კარის პოლიტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამენ. ამის შესახებ ანდერს ფოგ რასმუსენმა უელსში მიმდინარე ნატოს სამიტის ფარგლებში გამართულ ლიდერთა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

„ალიანსის საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც იზიარებენ ჩვენს პოლიტიკას ევროპის უსაფრთხოების საქმეში.“

ჩვენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადავდგამთ საქართველოსთან მიმართებაში, მივიღებთ არსებით პაკეტს, რომელიც საქართველოს ნატოს კიდევ უფრო დაუახლოვებს. ეს პაკეტი ითვალისწინებს ქვეყნის თავდაცვითი შეიარაღების გაზრდას და სამხედრო მოსამზადებელ წვრთნებს, – განაცხადა რასმუსენმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს დაბადების დღე მიულოცა და საქმიანობაში წარმატება უსურვა.

ამის შესახებ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ავრცელებს.

საქართველოს პრეზიდენტი დღეს 45 წლის გახდა.

უკრაინაში საპარტიო დანებარება მომავალ კვირაში გაიგზავნება

როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, უკრაინაში გასაგზავნი საპარტიო დანებარება მოძიებული და განფასებულია. მისივე თქმით, მოძიებულია შესაბამისი თანხაც.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მოლაპარაკება უკვე დასრულდა სატრანსპორტო კომპანიებთან და პირველი რეისი მომავალი კვირის ოთხშაბათს შესრულდება.

დავით სერგეენკოს განცხადებით, იმის გამო, რომ ტვირთის მოცულობა დიდია, სამგზავრო ლაინერთი მისი გადატანა ვერ ხერხდება, ამიტომ საპარტიო დანებარება საქართველოდან სატრანსპორტო თვითმფრინავით უკრაინაში გაიგზავნება.

© ხელოვანი უძახე და!

„ხადავიკი“ ხაჩიკიანი და კონსტიტუციონალისტი დემეტრაშვილი,

ანუ, ერთი უხედავით, თითქოსდა, სად უბრალო ავტონომოსანი და სად – პროფესორი, მაგრამ...

ხსენებთ, ხაჩიკიანი და თავისი საქმის საოცარი პასუხისმგებლობით მკვებელი. მანქანას რომ მივუყვანდი რაიმე დაზიანების შესაკეთებლად, იმას ხომ უმალ ფრიადზე უნამლებდა, მე რე ავტომობილის მთელ სავალ ნაწილსაც შეამონებდა საკუთარი ინიციატივით და, თუ რაიმე დეფექტს აღმოაჩენდა, მაშინვე მეტყობდა.

მოკლედ, მანქანას საორჭოფო მდგომარეობაში არასდროს არ დამატოვებინებდა.

ეჰ, ჩემო არმენ, აფერუმ შენს პასუხისმგებლობის გრძობას! რამ გამახსენა შენი თავი და კონსტიტუციონალისტი დემეტრაშვილი?

ყველა კარგად ვიცით, როდენ დიდი ვნებათა ლეღვაა დღეს ჩვენში იმასთან დაკავშირებით, ვინ უნდა დაეხსროს გავროს გენერალურ ასამბლეას და გამოვიდეს იქ სიტყვით – საქართველოს პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი. ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო პრემიერის ვიზიტს ამზადებს, პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი – პრეზიდენტისას.

იმაზე კი, რომ საქმისადმი ამგვარი ბავშვური მიდგომა-ჭირვეულობით სა-

საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს და აწარმოებს მთავრობა, მაგრამ საგარეო კურსის წარმართვა პრემიერსაც შეუძლია და პრეზიდენტსაც.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და ამის წაკითხვის შემდეგ, უნებლიეთ, სოფლის მოსამართლე გამახსენდა ერთი კარგი ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, უსტაბაშს რომ ეუბნება, – გეკუთვნის, როგორ არ გეკუთვნის, მაგრამა, არ გეკუთვნის!

მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ზემოთ



სწორედ სააკაშვილმა შეუკვთა მანქანა და ამისთვის განუთქმული შრომა, როგორც ჩემს ამასწინანდელ პუბლიკაციაშიც აღვნიშნე (31.X.2014 წ.), კარგად დაუფასა მასაც და იმ კომისიაში მის მოადგილე თენგიზ შარმაშვილსაც.

ანუ „მეკუთვნის“ შემგვეთის სურვილის შესატყვისად კი მოაბა ყური „ქოთანს“, მაგრამ, ნებისთ თუ უნებლიეთ, იმდენი ხვედრულ-ნასერეტი დაუტოვა მას, რომ იგი სითხეს ვერ დაიჭერდა. ვის რაში სჭირდებოდა ასეთი „ნაოსტატარი“? შემგვეთის ასე უნდოდა და ოსტატს რა ექნაო?

რა უნდა ექნა და, იმდენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ან ვაჟკაცობა მაინც უნდა გამოეჩინა, რომ მაშინვე თუ არ გამოასწორებდა თავისივე გაფუჭებულს, მე რე, იმ შემგვეთის წასვლის შემდეგ მაინც ეთქვა, რა დაყოვნებული მოქმედების ნაღმებიც შქონდა ჩანყოფილი „ქოთანში“.

ასლა რომ ამბობს, ეს ხარვეზი, ალბათ, გამოსწორდებაო, ეს რა დიდი შეღავათია?

ან რა დიდ მიგნებაში ჩათვლება რჩევა – სასურველი იქნება, პრემიერი და პრეზიდენტი შეთანხმდნენ და ერთ-ერთი მათგანი გაემგზავროსო(!)?

ასე უანგაროდ ნუ ფანტავს ამგვარ



ქართველოს პრესტიჟი ილახება, ხოლო თუ ამერიკაში გამგზავრებამდე შეთანხმება არ მოხერხდება, მაშინ, საერთოდ, საჯაყი საქმე დაგვამართება, ვგონებ, არავინ ფიქრობს.

არადა, წესით, ქვეყანაში, რომელიც კანონებით იმართება, ანუ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ასეთი რაღაცეები წარმოუდგენელი უნდა იყოს!

მაგრამ სადაა თურმე ყველაფრის „გამწერი“ კანონები, როდესაც თვით კანონთა კანონში – კონსტიტუციაში – უამრავი ხარვეზი და უზუსტობაა.

თუ ჩემი არ გჯერათ, ისეთ გამოცდილ კაცს, ექსპერტს მოვუხმინოთ, ვინც კონსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებში ისე ლაღად გრძობს თავს, ვით თევზი წყალში.

აი, რას წერს ამის თაობაზე გაზეთი „ალია“:

„კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი ყურნალისტან კომენტარში განმარტავს, რომ კონსტიტუციის მიხედვით, საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს და აწარმოებს მთავრობა, მაგრამ პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, ერთსავე შეუძლია საგარეო კურსის წარმართვა და მეორესაც, კონსტიტუციაში არის ხარვეზი, არ არის დეზუსტებული, რა შემთხვევაში ენიჭება პრიორიტეტი პრეზიდენტს და რა შემთხვევაში – პრემიერ-მინისტრს. ეს ხარვეზი, ალბათ, გამოსწორდება. თუ პრეზიდენტსაც და პრემიერსაც აქვს მოწვევა, სასურველი იქნება, მოხდეს მათ შორის შეთანხმება და ერთ-ერთი მათგანი გაემგზავროს.“

ვიჰ, შენი გულითა, ლუარსაბ, რა ამომწურავად და ყოვლისმომცველად განმარტა ყველაფერი!

მოყვანილი ციტატის ავტორი ცოცხად მადლის ჩვეულებრივი სასწორით აწონვის „ოსტატი“ ხსენებული გლეხუჭა მოსამართლე კი არა, ყოფილი საკონსტიტუციო სამართლოს თავმჯდომარეა?!

და კიდევ მეტი: ის მართო ყოფილი სასამართლოს თავმჯდომარე კი არა, ამ ხუთი დღის წინათ დღევანდელი კონსტიტუციის იმ სახით გადაამკეთებელ-გადამუშავებელი კომისიის ხელმძღვანელიც გახლდათ, ეს ძირითადი კანონი, მრავალჯერის „პრემიერის“ შემდეგ, ჩოხასავით რომ მოარგო სააკაშვილს, რომელიც სწორედ ამ „დაპაჩინებულ“ კონსტიტუციის წყალობით, უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში, აპირებდა ქვეყნის პირველ კაცად დარჩენას!

შესაბამისი ვთქვი, დიდი პასუხისმგებლობის გრძობის მქონე ჩემი ნაცნობი „ხადავიკი“ მანქანას საორჭოფო მდგომარეობაში არასდროს არ დამატოვებინებდა-მეთქი.

შენ კი ბრბამით საორჭოფო, შენივე ალიარებით, ლამის ჩაოხრებულ მდგომარეობაში დაბოტოვებია ძველნი უმთავრესი კანონი, უფალო კონსტიტუციონალისტი!

ამიტომაც ვთქვი, ერთი შეხედვით, თითქოსდა, სად უბრალო ხელოსანი და სად – პროფესორი-მეთქი, მაგრამ... ხელოსანი უძახე შენ და!



გენიალურ რჩევებს, უფალი ექსპერტ-კონსტიტუციონალისტი!

გამოსწორდება, რა თქმა უნდა, მაგრამ შენ რა ამით, კონსტიტუციონალისტი? შენ ხომ რაც, როგორც და რამდენადაც შიშამლო, გააფუჭე სანძვე?

რუსლან რუსია

„ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაუარესებაზე აპელირებს და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილს მოუწოდებს შინაგან საქმეთა მინისტრი პოსტიდან გაათავისუფლოს, მმართველი ძალა კი, ალექსანდრე ჭიკაიძის თანამდებობიდან გაშვებას არ აპირებს და ოპონენტებს წარსულს ასხენებს.

ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციაზე საუბარი ირმა ნადირაშვილმა დაინყო და ყურადღება ბოლო პერიოდში მომხდარ მკვლელობებზე გაამახვილა, ოპოზიციონერების საპასუხოდ კი, ძალოვანმა უწყებამ სტატისტიკა გამოაქვეყნა და უმცირესობა პოლიტიკურ სპეკულაციებში დაადასტავა.

დეკლარაცია ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, გასულ კვირას, ადიგენში მამაკაცმა „კინჩესტერი“ სამი ახალგაზრდა მამაკაცი სიცოცხლეს გამოასალმა, ასევე მკვლელობა მოხდა აბაშიძის ქუჩასა და მარნეულის რაიონში, ხოლო ლილოში ხუთი სპეცრაზმელი დაჭრეს, მესტიის პოლიციის შენობაში კი, პოლიციელებმა ერთმანეთი სცემეს.

მისი შეფასებით, ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაცია არის აღმაშფოთებელი და საშიში, საზოგადოება კი იმ ზღვარზეა მისული, როდესაც ადამიანებს ოჯახის წევრების გარეთ გასვლა ეშინიათ.

„მკვლელობების სია არის დაუმთავრებელი. ეს არის „ოცნების“ მთავრობის უუნარო პოლიტიკის შედეგი. ასევე ეს შედეგია იმის, რომ წლების მანძილზე, საზოგადოებას გაყალბებულ სტატისტიკას უდებენ. ეს არის შედეგი იმის, რომ ივანიშვილმა წინასწარ აიღო ვალდებულებები კრიმინალურ კლანთან და ბესელიას ბრძანება მისცა, რომ უპრეცედენტო და უპასუხისმგებლო ამინსტია განეხორციელებინა. როდესაც ახალგაზრდა ადამიანებს სიცოცხლეს ასალმებენ და ამას ამინსტირებულები პირები აკეთებენ, ალბათ, ბესელია თანაგუნდებულთან ერთად პასუხისმგებლობას და თანამონაწილეობას გრძნობს მკვლელობებში. ამასთან, ეს შედეგია იმისა, როდესაც ვიცე-პრემიერი თავს უფლებას აძლევს აეროპორტში ე.წ. კანონიერ ქურდებს ხვდებოდეს და თურქეთში აცილებდეს“, - აღნიშნავს ნადირაშვილი.

კანონმდებელი „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ხელისუფლებას მოუწოდებს ჭიკაიძეს პოსტი დაატოვებინოს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, შექმნილ სიტუაციაში არ შეიძლება, შსს-ს მოქმედი მინისტრი მართავდეს.

„უმძიმესი კრიმინალური ფონი და პოლიციის, როგორც ინსტიტუტის სრული განადგურება არის ის, რასაც დღეს ჩვენ ვხედავთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და განსაკუთრებით თბილისში. ადამიანების მკვლელობები, არასასურველ მონეტა გატაცებები, პოლიტიკურ ოპონენტებზე ფიზიკური თავდასხმები, ჩვენების გამოძალვა, პოლიციელების ცემა დაიწყეს თვითონ პოლიციის შენობებში.“

ვერ წარმოიდგინებ, როგორ მემუდარებოდა პოლიციელი რომან ყორშია ტელეფონით (დარწმუნებული ვარ, მოსმენილი ექნება სათანადო ორგანოებს), რომ მესველა მისთვის, რადგან მასზე ხორციელდებოდა თავდასხმა. ამიტომ ჩვენი აღშფოთება ბუნებრივია. ასეთი მინისტრი არ შეიძლება მეთაურობდეს ისეთ მნიშვნელოვან უწყებას, თუმცა, საკითხი დგას გაცილებით ფართოდ - მთელი ხელისუფლება გახდა უუნარო“, - აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

ჭიკაიძის მიმართ პრეტენზიების პათოსს უმრავლესობაში არ იზიარებენ, ალექსანდრე ჭიკაიძეს „ბრწყინვალე პოლიციელად“ მიიჩნევენ და ყოფილ სახელისუფლებო გუნდს წარსულს უხსენებენ.

როგორც for.ge-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განუცხადა, მისთვის გაუგებარია, მინისტრის პოსტიდან გადადგომის მოთხოვნის საფუძველი.

კანონმდებლის განცხადებით, კრიმინოგენური ვითარების თაობაზე არსებული ოფიციალური სტატისტიკა სხვა რამეზე მეტყველებს და ხელისუფლება დასკვნებს ნაციონალების სუბიექტური დამოკიდებულებებით ვერ გააკეთებს.

„ციფრებს ვეყრდნობით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გასულ წლებთან შედარებით, დანაშაულის რაოდენობა ანაკლებია. შეიძლება ცალკეული დანაშაულები, რაც იკვეთება, სხვა ტენდენციებია და ამას კვლევა და განხილვა სჭირდება, მაგრამ, როცა თანამდებობაზე მყოფი მინისტრები დანაშაულს სჩადიოდნენ და მას ეს ადამიანები ტაშს უკრავდნენ, მათგან ჭიკაიძეზე საუბარი არასერიოზულია“, - აღნიშნავს ბესელია, რომლის მსგავსად, ჭიკაიძეს ექომაგება ლევან ბერძენიშვილი.

for.ge-სთან საუბარში ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ჭიკაიძე არის ბრწყინვალე პოლიციელი, მერაბიშვილი კი პოლიციელიც არ იყო.

მისი თქმით, ის ვერ ხედავს მიზეზს, თუ რა დააშავა ჭიკაიძემ.

„ეს მოთხოვნა ცოტა მოულოდნელია მათგანაც კი. ის ხალხი არ ვართ, რომელიც საკითხებს არ განიხილავს და თუ ვინმემ რაიმე დააშავა, პოსტიდან არ გააშვებს, მაგრამ ამ მომენტში რაღაც პირადს ვხედავ“, - აღნიშნავს ბერძენიშვილი.

კანონმდებელი ინტერესდება, თუ რა აზრის არის ირმა ნადირაშვილი ვანო მერაბიშვილის განათლების დონეზე.

„საქართველოში როგორ მოხდა, რომ ვანო მერაბიშვილი იყო რაღაცის მინისტრი? - ჭიკაიძე ბრწყინვალე პოლიციელია, მერაბიშვილი კი პოლიციელიც არ იყო. მერა-

არქა, ბილობილი ვასვათ ღაგაოგ მიშისტებს!



ნაციონალების „საშიზნა“ წულუკიანის შემდეგ, ჭიკაიძე გახდა

ბიშვილი იყო კაცი, რომელმაც ქართული გრამატიკა არ იცოდა და რომელსაც არცერთი წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. რა განათლებაზე ლაპარაკი? ამასთანავე, პრეზიდენტი გვყავდა, რომელსაც „თხა და გიგო“ არ ჰქონდა წაკითხული. დიპლომები კი ჰქონდა. ის, რომ ნადირაშვილის სალაპარაკოა ჭიკაიძის დიპლომი, ეს უხერხულია, რადგან არც ნადირაშვილს აქვს „ოქსფორდი“ დამთავრებული. დიპლომს წულუკიანსაც უნუნებდნენ და ამის შემდეგ დიპლომებზე საუბარი წარმოგიდგენიათ?!“

თანაგუნდულების პათოსს ვიცე-სპიკერი ზურაბ აბაშიძე იზიარებს, მაგრამ დეპუტატი ბოლო პერიოდში

საქართველოში როგორ მოხდა, რომ ვანო მერაბიშვილი იყო რაღაცის მინისტრი? - ჭიკაიძე ბრწყინვალე პოლიციელია, მერაბიშვილი კი პოლიციელიც არ იყო. მერაბიშვილი იყო კაცი, რომელმაც ქართული გრამატიკა არ იცოდა და რომელსაც არცერთი წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. რა განათლებაზე ლაპარაკი? ამასთანავე, პრეზიდენტი გვყავდა, რომელსაც „თხა და გიგო“ არ ჰქონდა წაკითხული. დიპლომები კი ჰქონდა. ის, რომ ნადირაშვილის სალაპარაკოა ჭიკაიძის დიპლომი, ეს უხერხულია, რადგან არც ნადირაშვილს აქვს „ოქსფორდი“ დამთავრებული. დიპლომს წულუკიანსაც უწყებდნენ და ამის შემდეგ დიპლომებზე საუბარი წარმოგიდგენიათ?!...
ლევან ბერძენიშვილი.

გაზირებულ მკვლელობებზე წუხს და ამბობს, რომ პრევენციის კუთხით, ალბათ, უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს მუშაობა.

დეპუტატის მოსაზრებით, დანაშაულის წინააღმდეგ საზოგადოებაზე უნდა გააქტიურდეს.

„რაც ხდება, ძალიან მძიმეა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ძალიან მძიმე დანაშაულების კასკადი ერთმანეთს წაეწყო. შს მინისტროს აქტიურობა მისასალმებელია და კარგია, რომ საქმეები იხსნება. როცა ადამიანი მიდრეკილია მკვლელობისკენ, მას ვერაფერს უშველი, მაგრამ მუშაობა უნდა გააქტიურდეს, რომ საზოგადოებაში დანაშაულის ჩადენის მიმართ გან-

ცდა შემცირდეს“, - განაცხადა აბაშიძემ. საქართველოში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებას თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი გლობალურ ჭრილში განიხილავს და აღნიშნავს, რომ კრიმინალი ყველგან ხდება.

მისი შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკურ დივიდენდებს ეძებს, რადგან ადამიანის სიცოცხლეზე საუბარი მათგან ცინიკურია.

„ცინიკურია, როდესაც ადამიანის სიცოცხლეზე „ნაციონალური მოძრაობა“ მელაპარაკება. მაშინ, როცა ხალხს მიზანმიმართულად იდეოლოგიის გამო აწამებდნენ, ხმას რატომ არ იღებდნენ?! ადამიანები რომ კვდებოდნენ, ყველას გული გვტკივა, მაგრამ კრიმინალი დამახასიათებელი მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის არ არის. 86 წლის კაცი რომ 32 წლის კაცს მოკლავს, ეს არც ჭიკაიძეს დაესაზმრება და არც სესიაშვილს. კრიმინალთან მიმართებაში მიდგომა მაქსიმალურად გავამკაცრეთ და დიდი რაოდენობის ნარკოტიკები ამოვიღეთ, მაშინ, როდესაც მერაბიშვილს კილოგრამი ნარკოტიკი არ ამოუღია“, - აცხადებს სესიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ განცხადებებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია გამოეხმაურა და უმცირესობა სამინისტროს დისკრედიტაციაში დაადასტავა.

იზორიას ცნობით, 2011 წლის აგვისტოში ზუსტად 11 მკვლელობა მოხდა, როგორც მიმდინარე წლის აგვისტოში. წლებადელი მკვლელობები კი უკვე გახსნილია.

„არავითარი საფუძველი იმისა, ვიფიქროთ, რომ კრიმინოგენური მდგომარეობა გაუარესდა, არ არსებობს. 2011, 2012, 2013, 2014 წლების მონაცემები თითქმის ერთნაირია. ხოლო, თუ წინათ მკვლელობების გაშუქება იშვიათად ხდებოდა, დღეს თითქმის ყველა მკვლელობა შუქდება. ამაში აქტივობას სამინისტროს საინფორმაციო სამსახური იჩენს“, - აღნიშნავს იზორია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობას“ მოუწოდებს, მოსახლეობის მოტყუებას თავი დაანებოს.

რაც შეეხება მკვლელობების პრევენციას, მინისტრის მოადგილის განცხადებით, შს სამინისტრო გაორმაგებული ენერჯით მუშაობს, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მკვლელობები მეგობრებსა და ნათესავებს შორის და იშვიათად კი, უცნობებს შორის ხდება.

ვიცე-პრემიერი კახი კალაძე მიიჩნევს, რომ სამართალდამცავებმა კრიმინალთან ბრძოლის კუთხით კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთონ. როგორც კალაძემ უურნალისტებს ბოლო პერიოდში გახშირებულ მკვლელობებზე კომენტარებისას განუცხადა, ყველა ბოროტ მოქმედი კანონის მაქსიმალური სიმკაცრით უნდა იყოს დასჯილი.

„მესმის, რამდენად მძიმეა, როცა ახლობელ ადამიანს კარგად და ეს დანაკარგი კიდევ უფრო მძიმდება, როდესაც ის ძალიან ბრძოლით მეთოდით ხდება. ვიფიქრობ, სამართალდამცავებმა კრიმინალთან ბრძოლის კუთხით კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთონ და კანონის ფარგლებში მაქსიმალური სიმკაცრით უნდა იყოს დასჯილი ყველა ბოროტმოქმედი. ის, რომ ქვეყანა წულუკიანი ტორტორიდან გამოვიდა, არ ნიშნავს, რომ დამნაშავეებს დანაშაულის ჩადენის უფლება ელევადობა - არავითარ შემთხვევაში. ყველა დამნაშავე, ყველა კრიმინალი კანონის ფარგლებში მაქსიმალური სიმკაცრით უნდა იყოს დასჯილი“, - განმარტა ვიცე-პრემიერმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ომარ ნიშანიძე ვიქტორბს, რომ მის ოპოზიციონერ კოლეგებს „ბილობილი“ და დიდი ცოცხი სჭირდებათ.

„თუ გგონიათ, რომ საქართველოს მოსახლეობას სჭირს სკლეროზი, ძალიან ცდებით. ეს თქვენ უფრო გჭირს სკლეროზი. ჩემი წინადადებაა, იქნებ ჩემი სეფუასის ხარჯზე ერთი პარტია „ბილობილი“ შემოვიტანოთ და ვასვათ ამათ. ნებით არ მიიღებენ, მაგრამ გავაღებინოთ პირი და ჩავუდოთ პირში. ერთი კარგი დიდი ცოცხი მართლა საჭიროა. მაგ საქმისთვის არა, თქვენ რომ გაიფიქრეთ. დიდი ცოცხი საჭიროა იმისათვის, რომ თქვენ ჩაგცოცხოთ მართლაც, როგორც თავის დროზე მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი ჩაცოცხეთ. თქვენ ხართ თვით პოლიტიკურ სანაგვეზე გადასაყრელი და ჩასაცოცხი, ნაცებო! - მიმართა უმცირესობის წევრებს ომარ ნიშანიძემ.

თეონა მანაბაძე, თამთა ძარჩავა

ალიანსიანი

მსიქნელოვანი ბავშვის „გაუთოვებაში“ აჭმობიანილი ქილა პოტი ღაგაოგ

სამართალდამცველებმა ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში მცირეწლოვანი ბავშვის „გაუთოვებაში“ ეჭვმიტანილი კიდევ ერთი პირი დააკავეს, - ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს. ვანში მომხდარ ფაქტზე ამჟამად უკვე ორი პირია დაკავებული. ერთ-ერთი მათგანია 1993 წელს დაბადებული ალექსანდრე რ.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 1 სექტემბერს, ვანის რაიონის სოფელ ფერეთაში, სამი ნიღბიანი პირი

ქეთევან ო-ს საცხოვრებელ სახლში შეიჭრა. მათ სხეულის დაზიანებები მიაყენეს ქეთევან ო-სა და მის მცირეწლოვან შვილს. დამნაშავეები ფულსა და ძვირად ღირებულ ნივთებს ითხოვდნენ. მათ სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაზარალებულის სახლიდან ოქროს ნივთები და კლავიშებიანი სინთეზატორი წაიღეს. შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული ყველა პირის ვინაობა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დაადგინეს.



მოსკოვი დღემდე აკუსაციებზე მებრულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის გეგმას



გუდოვი გენადი. 21-ე საუკუნეში „შუასაუკუნეების მსოფლიოში“ გვიწევს არსებობა. ნატოსგან მხოლოდ დაპირებები გვესმის, სხვა არაფერი. რატომ არ გვიღებენ ნატოში, გაუგებარია? თურქეთს 21 პუნქტიდან 19 არ შეუსრულებია, საბერძნეთს ტერიტორიული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მაინც გახდნენ ალიანსის წევრები...

ამერიკა და რუსეთი, უსაქლოა, პარტნიორების კი გახდნენ

— ბატონო გია, აფხაზეთში ჩატარებულია ე. წ. არჩევნებმა, ბოლოს და ბოლოს, რაულ ხაჯიმბას წარმატება მოუტანა. მან წინა სამი არჩევნებისგან განსხვავებით, შეძლო ოპონენტების დამარცხება. რით არის გამორჩეული წინამორბედებისგან რაულ ხაჯიმბა?

გენასაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შაჰალაში საბჭოს თავმჯდომარე გია გვაჩავა

— ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთის ინტერესებზე აფხაზეთში, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს თურქეთი, რომელსაც არაოფიციალურ დონეზე საკუთარი ინტერესები გააჩნია... თუმცა, კი იგი საქართველოს კარგი მეზობელია?

— მოდით, ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ხაჯიმბას ოპონენტებიც ყველა გენერალი იყო, რაც ნიშნავს, რომ ესენი არიან მეომარი ადამიანები და არა მშვიდობის მძივებელი. ეს საგულისხმო ელემენტია. რაც შეეხება დე ფაქტო პრეზიდენტს, ის არის „კაგებეს“ თანამშრომელი, რომელსაც ყოველთვის მჭიდრო და კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. ანკეპები, ბალაფში, არძინა პოლიტიკური ხედვით ერთმანეთისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდათ დამოუკიდებლობის მიმართ, ისწრაფვოდნენ აფხაზი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ. ფიქრობდნენ, რომ რუსეთთან კავშირის გარეშე არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ ევროპისკენაც იხედვოდნენ. ხაჯიმბა ემხრობა დამოუკიდებლობის იდეას, მაგრამ მისი პოლიტიკის ვექტორი აბსოლუტურად მიმართულია რუსეთისკენ. ეს ადამიანი აირჩია კრემლმა იმიტომ, რომ გადადგას ყველა ის ნაბიჯი, რაც სხვა ლიდერების ხელში ვერ მოახერხა.

— უფრო კონკრეტულად, კიდევ რა მიზეზები აქვს კრემლის იმის გარდა, რაც აქამდე გამოაშკარავა?

— რუსეთის მოქალაქეებისთვის საკუთრების უფლების დაშვება უძრავ ქონებაზე აფხაზეთში, რაც აქამდე ვერ მოახერხა რუსეთმა. მეორე — რუსეთთან ასოცირების ხელშეწყობის დაჩქარება.

— ემუქრება თუ არა ქართველებს აფხაზეთიდან ხელმეორედ გამოდევნა?

— მართალია, ხაჯიმბა ქართული მოსახლეობის მიმართ რადიკალიზმით გამოირჩეოდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ტოტალური გამოდევნა არ მოხდება. ჯერ ერთი, ამას მოჰყვება საერთაშორისო რეზონანსი, რაც ამ ეტაპზე რუსეთს ხელს არ აძლევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გალი და გალის მოსახლეობა აფხაზეთისთვის არის ბედელი. სხვათაშორის, ადრეც ასე იყო. მაგრამ მე-სამე და მთავარი ნიუანსი რატომაც არ მოხდება ქართველების აფხაზეთიდან გამოდევნა, რუსეთის შორს გამიზნულ, ვერაგ გეგმას უკავშირდება. ეს არის სტრატეგია საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად დაქუცმაცებისა. დღემდე არსებობს მეგრულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის სერიოზული გეგმა, ხოლო ამ ქმედების განსახორციელებლად გალის ანკლავია საჭირო. კუთხური სეპარატიზმის გასაღწეველად დიდი თანხები იდებოდა. რუსეთში გამოსცეს მეგრული ენის გრამატიკა...

ჩვენდა საუბედუროდ, ჩრდილოელი მეზობელი არ ჩერდება. ბევრს ჰგონია, რომ დაკარგულ მიწებს დაგვიბრუნებენ, აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ეს არის წმინდა წყლის ილუზია. პირიქით, კიდევ უფრო დანაწევრებაზე მიდის მუშაობა რუსეთის მხრიდან...

— ბატონო გია, ყველა ის კითხვა „ჩამიფლავეთ“, რაზეც ქვემოთ უნდა გველაპარაკა...

— მკითხეთ, მკითხეთ, რაც გინდათ.

— ხაჯიმბა საქართველოსგან ითხოვს ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტზე ხელმოწერას. შეიძლება თუ არა ამაზე შეთანხმება?

— არავითარ შემთხვევაში! ეს ნიშნავს, რომ ხელშეკრულება დაიდება ორ სახელმწიფოს შორის. ჩვენ კონფლიქტი არ გვქონია აფხაზეთის „სახელმწიფოსთან“, კონფლიქტი გვექონდა რუსეთთან. მოანეროს რუსეთმა ხელი ჩვენს მიმართ ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულებას. ის ამაზე თავს იკავებს.

— ე. ი. ეს საკითხი ღიად დარჩება?

— რა თქმა უნდა!

— რას იტყვით რუსეთთან კოლექტიური შეიარაღების შეთანხმებაზე, რაზეც რაულ ხაჯიმბა თანახმაა? საერთოდ, რამდენი წვევამდელი შეიძლება იყოს აფხაზეთში და რა ჯარზეა ლაპარაკი?

— უხეში გათვლებით, შეიძლება 5 ათასამდე წლევამდელი იყოს. ეს ხომ სასაცილო ციფრია, მაგრამ კრემლს ამით უნდა აჩვენოს მსოფლიოს, რომ ეს არის აფხაზეთის სახელმწიფო, რომელსაც თავისი შეიარაღებული ძალები გააჩნია.

ბები პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე ერთ დღეში იცვლება ხოლმე. დიდ ქვეყნებს საკუთარი სტრატეგია აქვთ, სადაც პატარა ქვეყნების ადგილს ნაკლებად ვხედავ.

— თქვენ რა აზრის ხართ რკინიგზის გახსნაზე, რაზედაც შეიძლება ხაჯიმბა დათანხმდეს?

— ალბათ, ხაჯიმბა ამის წინააღმდეგი არ წავა. ეს არავითარ სარგებელს არ მოუტანს არც აფხაზეთს და არც საქართველოს, ის სჭირდება რუსეთს სომხეთთან და ირანთან დასაკავშირებლად. მე რკინიგზის გახსნის მომხრე არა ვარ.

— თქვენი პესიმიზმის მიუხედავად, უნდა გკითხოთ უელსის სამიტზე, ნატოს დაპირებულ „ოქროს ბარათზე“, რომელმაც გარკვეული პერსპექტივა უნდა შექმნას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით...

— ნატო არ არსებობდა, მაგრამ რუსეთმა 1801 წელს მონარქია გაგვიუქმა. ერი უთავოდ დატოვა, რაც იქამდე არც ერთ დამპყრობელს არ გაუკეთებია. 1811 წელს გაგვიუქმა ავტოკეფალია. 1921 წელს ჩვენი ყველა სადავო და არასადავო მიწა ჩვენს მეზობლებს დაუბრუნდა. თვითონ მისაკუთრა ადლერი-სოჭი, ჩაგვიდო 3 ავტონომია და სამივე მეტ-ნაკლებად აგვიფეთქა. 1918 წელს, როცა მოსკოვი იწვოდა, რევოლუცია მძვინვარებდა, დენიკინი სოხუმში შემოიჭრა და დაიკავა. ივარგეს თავდაზნაურებმა და განდევნეს... ანუ მე იმის თქმა მინდა, რომ რუსულ იმპერიულ ზრახვებს და ველიკოდერჟავულ მისწრაფებებს საზღვარი არასდროს ჰქონდა. მე არ ვსაუბრობ რუს ერზე, ვგულისხმობ კრემლის პოლიტიკას. მართალია, იარაღი რუს ბიჭებს

ნატო არ არსებობდა, მაგრამ რუსეთმა 1801 წელს მონარქია გაგვიუქმა. ერი უთავოდ დატოვა, რაც იქამდე არც ერთ დამპყრობელს არ გაუკეთებია. 1811 წელს გაგვიუქმა ავტოკეფალია. 1921 წელს ჩვენი ყველა სადავო და არასადავო მიწა ჩვენს მეზობლებს დაუბრუნდა. თვითონ მისაკუთრა ადლერი-სოჭი, ჩაგვიდო 3 ავტონომია და სამივე მეტ-ნაკლებად აგვიფეთქა. 1918 წელს, როცა მოსკოვი იწვოდა, რევოლუცია მძვინვარებდა, დენიკინი სოხუმში შემოიჭრა და დაიკავა.

უჭირავთ...

— ...ხოლო მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტს მოსწონს პუტინი და კრემლის პოლიტიკა.

— დიახ, ასეა! ქვეყანას, რომელიც მსოფლიო ხმელეთის ერთ მეექვსედს ფლობს, მინა არ ჰყოფნის. რუსეთის დოქტრინაც საკმაოდ აგრესიულია. ასეთი მეზობლის ხელში საქართველოს გზა იყო მანევრირება გრადემლსა და უროს შორის. ჩვენ იძულებული გავხდით, თავშესაფარი გვეძებნა ნატოს სახით. ისე, რა თქმა უნდა, გვიჩვენებია „ჩვენი თავი ჩვენადვე გვე“

საუბედუროდ, ჩვენ ხვალინდელი დღის პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრაც კი არ შეგვიძლია, დიდ ქვეყნებს კი რამდენიმეწლიანი გეგმები აქვთ, თითოეული სახელმწიფოს მიმართ.

— მაინც რისი მოლოდინი გაქვთ ამ შემოდგომაზე. რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა?

— დასავლეთი ხედება, რომ თუ „ჯინი“, ანუ პუტინი გაექცათ, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია. დროზე უნდა გაგვაძლიერონ პატარა ქვეყნები იარაღით, თავდაცვითი სისტემებით...

თუმცა, მსოფლიოში იმდენი პრობლემაა, რომ არ გამოვიციხავ რუსეთის ჩართვას ნატოში. ეს არის ჩინეთის ფაქტორი, მუსლიმთა გააქტიურება, ეკოლოგიური კატასტროფები. სვალ და ზეგ ამერიკა და რუსეთი, შესაძლოა, პარტნიორებიც კი გახდნენ.

— გლობალური პოლიტიკის მიუხედავად, მინდა, დავუბრუნდე ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, რაიმე შედეგს თუ მოიტანს სახალხო დიპლომატია?

— სახალხო ურთიერთობების მე მჯერა, ეს აუცილებელია. შერიგების რესურსი არსებობს და ის უნდა გამოვიყენოთ. დღევანდელ აფხაზურ ელიტას, რომელმაც ამ ომის წყალობით მილიონები იშოვა, რა თქმა უნდა, არ უნდა ამ ურთიერთობის აღდგენა. მაგრამ აფხაზ ხალხს კარგად უნდა ესმოდეს, რომ ეთნოსს საფრთხე ემუქრება. კვდება 3 ათასი, იბადება 800 აფხაზი. რა დარჩება? მათი ხსნა ჩვენთან ურთიერთობაშია. თუ სვალ არ იქნება აფხაზი, არ იქნება ზეგ ქართველი. აი, ამას უკვე პოლიტიკის, სახელმწიფო რანგში აყვანა სჭირდება.

— რამდენად იზიარებს ამ აზრს ხელისუფლება?

— მეტი რესურსი და ფული უნდა ჩაიდოს სახალხო დიპლომატიაში. მაღლობა მინდა, ვუთხრა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგაენკოს, ქართველ მედიკოსონალს. ძალიან ბევრ

რი აფხაზი გადმოდის აქ სამკურნალოდ და ისინი მათ მაღალკვალიფიციურ სერვისს სთავაზობენ. არსებობს კულტურული პროგრამები, აფხაზები გადმოდიან ლილოს ბაზრობაზე... ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ დამოუკიდებლობა არ უნდათ... მაგრამ საჭიროა ადამიანური ურთიერთობების აღდგენა. ჩვენ თვალში უნდა ვუყურებდეთ ერთმანეთს და ისე ვილაპარაკოთ.

ესაუბრა
თაა მოსია

ალიანალიანი

ნაგო-საქართველოს პაქტი ალიანსის წევრებთან პაქტიკულად შეთანხმებულია

ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისა და ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენის შესხვედრის შემდეგ განაცხადა.

შესხვედრა უელსის სამიტის გახსნამდე გაიმართა და მას ესწრებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი მათა ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, თავდაცვის მინისტრი ირაკლი

ალასანია, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი.

„ნატო-საქართველოს პაქტი, რომელიც შემუშავებულია, გვითხრეს, რომ პრაქტიკულად შეთანხმებულია ალიანსის წევრებთან. იგი ითვალისწინებს შემდეგს — საქართველოში გაიხსნას ნატოსთან ერთობლივი სანვრთნელი ცენტრი, სადაც მოემზადებიან ნატოელი და პარტნიორი სამხედრო ქვედანაყოფები; თავდაცვის სამინისტროში და შეიარაღებულ ძალებში წარმოგზავნილი იქნება ნატოს სამხედრო ექსპერტთა ჯგუფი,

რომელიც კონკრეტულად გაუწევს შემუშავებული პაქტის განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას და მის კონტროლს; მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი ის არის, რომ ნატო თანხმდება თავდაცვითი შეიარაღების გაძლიერების, მოწოდების, შესყიდვის კუთხით მხარდაჭერა აღმოუჩინოს საქართველოს, რათა საქართველოს ჰქონდეს ის საშუალებები, თავი დაიცვას აგრესიის შემთხვევაში. ასევე გვითხრეს, რომ საქართველო გადადის ახალ ლიგაში“ — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

– ბატონო კორნელი, რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ ღია სამხედრო აგრესია აქვს დაწყებული. ფაქტია, რომ უკრაინა ამას მართლ ვერ გაუმკლავდება, ისიც ფაქტია, რომ უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე დასავლეთი ჯერ მხოლოდ მსჯელობს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ნატოს უფლის სამიტამდე რუსეთი ცდილობს, უკრაინის რაც შეიძლება მეტ ტერიტორიაზე დაამყაროს კონტროლი და თავისი პირობები წაუყენოს როგორც კიევის, ისე – დასავლეთს. როგორ შეაფასებდით, უკრაინაში არსებულ ვითარებას და მასზე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას?

– როგორც მრავალი დასავლელი ანალიტიკოსი აღნიშნავს, რაც უნდა გასაკვირი იყოს, კიევი, პრინციპში, ამ გამოუცხადებელი, ანუ მისი წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის პირველი ეტაპი მოიგო. მაგრამ, როგორც კი მიხვდა მოსკოვი, რომ უკრაინის ხელისუფლებას ამ ტიპის ომით ვერ უგებდა, მაშინ უკრაინაში თავისი სამხედრო ქვედანაყოფების გაგზავნა დაიწყო, რათა ამ ე.წ. ოპოლჩენცებს ომი არ წაეგოთ. ეს რომ ასეა, ამას უკვე მრავალი წყარო ადასტურებს.

ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამ ე.წ. გამოუცხადებელ ომში უკრაინას მართლ გამარჯვება გაუჭირდება. ეს ის საკითხია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მთლიანად ევროპული უსაფრთხოებისთვის და მათ შორის ჩვენი ქვეყნისთვისაც.

ჩემი აზრით, პუტინს უკრაინაში რამდენიმე მიზანი აქვს. იგი ცდილობს, მოახერხოს უკრაინის ფედერალიზაცია. მისი მიზანი არ არის, გავლენა ჰქონდეს მხოლოდ უკრაინის აღმოსავლეთსა და ცენტრში. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანია, მთლიანად აღადგინოს გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეზე. ახლა მისთვის მთავარია, ეს პროცესი უკრაინაში განახორციელოს წარმატებით. ჯერ ეს ვერ ხერხდება, ამიტომაცაა, რომ კრემლი იმ პოლიტიკას აწარმოებს, რასაც ვხედავთ.

თუმცა, არ არის გამორიცხებული, მოსკოვს ჰქონდეს მოვლენათა განვითარების სხვა სცენარებიც. თუ რუსეთის მაღალჩინოსნების და მათ შორის, თავად პუტინის განცხადებებს დავაკვირდებით, სულ მეტად დავრწმუნდებით, რომ ისინი წინააღმდეგობრივ განცხადებებს აკეთებენ. ამის კარგი მაგალითია ე.წ. მალარასიაზე მათივე განცხადებები. პუტინი ხან ამბობს, რომ კიევი უნდა იფიქროს იმაზე, რომ ამ ტერიტორიებს ჰქონდეთ სახელმწიფოებრივი სტატუსი თავისი ინსტიტუტებით, მაგრამ რაღაც ეტაპზე ხდება ამ განცხადებების დეზაუირება. რჩება შთაბეჭდილება, რომ თავად პუტინი არაა გარკვეული იმაში, თუ როგორ ხდება იგი უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონების მომავალს. კრემლი ცდილობს, უკრაინა არ ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და იგი არ გახდეს დასავლეთის ინსტიტუტების სრულფასოვანი წევრი.

– იმაზე, რაც თქვენ ბრძანეთ, კარგად მიუთითებს მინსკის საკონტაქტო ჯგუფების შეხვედრაზე დონეცკის ე.წ. რესპუბლიკის ვიცე-პრემიერ ანდრეი პურგინისა და ლუგანსკის ე.წ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ალექსეი კარიაკინის განცხადებები, რომ დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკები მზად არიან, დარჩნენ უკრაინის შემადგენლობაში, მაგრამ მათთვის განსაზღვრული განსაკუთრებული პირობებით. მეორე მხრივ, საინტერესოა იტალიური გაზეთ La Repubblica-ს მიერ გავრცელებული ცნობა ბაროზოსა და პუტინს შორის გამართულ სატელეფონო საუბარზე, რომლის დროსაც პუტინმა ბაროზუს უთხრა – „რომ მინდოდეს, კიევის ორ კვირაში ავიღებო“ უკრაინის საკითხში კრემლის მრავალგვერდიანობისა და დასავლეთის უმოქმედობის ფონზე სავარაუდოდ როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები?

– კონფლიქტის დინამიკა, პრაქტიკულად, ყოველ საათს იცვლება. ძალიან მწელია პროგნოზი, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. თუ ისევე თქვენს მიერ მოხმობილ ორ შემთხვევას გავაანალიზებთ, დავინახავთ იმას, რაც ნათლაც ჩანს – რუსეთი დიდი ხანია, ცდილობს, აიძულოს კიევის ხელისუფლება, დაიწყოს მოლაპარაკება დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტულ ხელისუფლებებთან. ეს სცენარი რუსეთს აპრობირებული აქვს როგორც აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, ისე მოლდოვის დნესტრისპირეთში. მოსკოვი კიევის ე.წ. გაყინული კონფლიქტების სცენარს სთავაზობს. კრემლში იცინან, რომ ასეთ ვითარებაში პოროშენკოს ხელისუფლებას გაუ-

თუ უკრაინაში კონფლიქტი რუსული სპინარით დასრულდა, უსაძლოა, საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვალოს

ასა მიიჩნევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი კორნელი კაკაჩია



ჭირდება როგორც მოსკოვისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ისე ძალაუფლების შენარჩუნება. ეს კარგად იცის კიევიც. ეტყობა ამიტომაცაა, რომ მინსკის შეხვედრაში კიევის მხრიდან მონაწილეობს უკრაინის ექსპრეზიდენტი კუჩმა. იმის მიუხედავად, რომ იმავე შეხვედრაზე ოფიციალური კიევის წარმომადგენელიც იმყოფება, ჩანს, რომ სეპარატისტებთან ურთიერთობა კიევის არ აინტერესებს. კარგად ჩანს, კიევის არ უნდა გაეგას იმ მახეში, რომელიც მისთვის მოსკოვს აქვს დაგებული.

რაც შეეხება ბაროზოსთან სატელეფონო საუბარში პუტინის განცხადებას. დასავლეთში აღარ დარჩა ადამიანი, ვისაც ეჭვი ეპარება პუტინის ზრახვებში. უბრალოდ, საქმე სხვა რამეშია – რამდენად არის დასავლეთი მზად იმისთვის, რომ გადაიხადოს ის საფასური, რომელიც საჭიროა რუსეთის იმპერიული ამბიციების შესაჩერებლად. ახლა ეს არის ის მთავარი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში ყველაზე აქტუალურია.

– ვიდრე დასავლეთი გადაწყვეტს, რა ნაბიჯები გადაადგას რუსეთის შესაჩერებლად, ასეთი რეალობა იკვეთება – დონეცკისა და ლუგანსკის უფრო რუსეთის აკონტროლებს, ვიდრე უკრაინის ხელისუფლება. დასავლეთის მიერ დემონსტრირებული უუნარობა აჩენს

იმეგრე შთაბეჭდილებას, რომ საერთაშორისო პოლიტიკის კულუარებში უკვე შედგა მიუნენი-1938 ან იალტა-1944 და ამაზე საუბარს მსოფლიო პოლიტიკური სცენის მთავარი აქტორები ჯერ ერიდებიან. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

– დასავლეთის სამყაროში რომ ლიდერების პრობლემა რეალურად დგას, ეს აშკარად იგრძნობა. ევროკავშირის რიგ ქვეყნებსა და რუსეთს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები ხელს უწყობს იმ განწყობების არსებობას, რაზეც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ.

საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რატომ აგებს დასავლეთი რუსეთთან დაპირისპირებაში. დასავლეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რუსეთის ქმედებებზე რეაქციაა. ანუ, იგი ერთი ნაბიჯით ყოველთვის ჩამორჩება ხოლმე რუსეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ერთ-ერთი ახსნა იმაშიცაა, რომ რაკი ევროკავშირში გაერთიანებული სახელმწიფოები დემოკრატიული ქვეყნებია, გადაწყვეტილება კოლექტიურად მიიღება, მათ მიღებაში სახელმწიფო ინსტიტუტებია ჩართული და პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. რუსეთი კი ავტორიტარული სახელმწიფოა და ყველა



პარტნიორობა მშვიდობისათვის

უკრაინაში სამხედრო წვრთნებში ქართული ოცეული მიიღებს მონაწილეობას

ქართველ სამხედროებთან ერთად სწავლებაში 15 ქვეყნის ათამდე სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას; მათ შორის 200 ამერიკელი სამხედრო, ასევე სამხედროები უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ლატვიიდან, ლიტივიდან, მოლდოვიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან და ესპანეთიდან. სწავლების სცენარის მიხედვით, მრავალფეროვნულ ბრიგადას უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით მოუწევს მოქმედება.

სწავლებაში NATO-ს წევრი და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PFP) ფორმატში მონაწილე ქვეყნები ჩაერთვებიან. სამხედრო წვრთნებში საქართველოს შეიარაღებული ძალების 1 ქვეითი ბრიგადის ოცეულიც მიიღებს მონაწილეობას.



ინტერპრესი

№ 8 გვ.

...თენგიზ კიტოვანი რომ არა, მარგველაშვილი სახლში ქსოვას გააგრძელებდა, მიზა კი „კვერცხია“, – ჩვეულ ქუჩურ სტილში ახასიათებს კიტოვანი მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებს. ორივეს მიმართ საყვედურს გამოთქვამს. მიიჩნევს, რომ მარგველაშვილმა მას საქართველოს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოართვა, რაც არ შეიძლებოდა, ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ მ წლის განმავლობაში პარლამენტის დეპუტატი იყო და „დიდი წვლილი მიუძღვის“ სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. არ მალავს, რომ სწორედ მან ჩამოიყვანა ედუარდი, ხოლო, როცა საქართველოდან წავიდა, მერე ედუარდმა მოიყვანა მიზა...

კიტოვანი არც სააკაშვილს ემადლიერება. მიზამ ხომ საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის 1500 მოქალაქეს აჩუქა, მაგრამ არა – თენგიზ კიტოვანს.

როგორც თავდაცვის ყოფილი მინისტრი აცხადებს, 1977 წელს, როდესაც მან სმოლენსკის საპატიმრო დატოვა, მაშინ საბჭოთა კავშირის მოქალაქის პასპორტი მისცეს. მოგვიანებით, საქართველოდან წასვლის შემდეგ, მან რუსეთის ხელისუფლებას განცხადებით მიმართა და რუსეთის მოქალაქეობა მოითხოვა. მას შემდეგ, რაც თენგიზ კიტოვანი საქართველოში დაბრუნდა, საქართველოს მოქალაქეობა მოითხოვა, თუმცა – ამოდ. მისი თქმით, მისთვის საქართველოს მოქალაქეობის წართმევა სააკაშვილსაც კი არ მოსვლია აზრად და ეს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა გააკეთა. კიტოვანი აცხადებს, რომ ეს რამდენიმე თვის წინათ მოხდა, მაგრამ ამის შესახებ ხმა არ ამოუღია, დღეს კი გაჩერებას არ აპირებს.

თავის მხრივ, პრეზიდენტ მარგველაშვილის პრესსამსახურში აცხადებენ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი თვითონვე ვერ გარკვეულა, რასთან აქვს საქმე. თენგიზ კიტოვანს საქართველოს მოქალაქეობა კი არ ჩამოერთვა, არამედ მას არ მიენიჭა მოქალაქეობა. უბრალოდ, საქართველოს პრეზიდენტმა მას არ მიანიჭა ეს სტატუსი, რადგან არ მიიჩნია საჭიროდ, კანონიდან გამომდინარე.

სამაგიეროდ, პრეზიდენტისგან განსხვავებულად ფიქრობს იუსტიციის მინისტრი. თეა წულუკიანი აცხადებს, რომ მარგველაშვილამდე საქმე არც მისულა, არამედ თენგიზ კიტოვანის საბუთებს იუსტიციის სამინისტროში შესასწავლად ისევ ელოდებიან და კიტოვანი საქართველოს მოქალაქე გახდება.

ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კიტოვანის სახელი ისეთ დიდ კატაკლიზმებთან ასოცირდება, როგორცაა სამხედრო გადატრიალების გზით პირველი პრეზიდენტის დამხობა, სამოქალაქო ომის გაჩაღება, აფხაზეთში ძალისმიერად შესვლა, რასაც ამ კუთხის დაკარგვა მოჰყვა, ქურდობა და მაროდიორობა. ზოგიერთების აზრით, ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი შეცდომა იყო, როცა მან სწორედ კიტოვანს დაავალა ეროვნული გვარდიის შექმნა, რომელმაც თავის მხრივ, 1992 წელს პრეზიდენტის ხელისუფლება დაამხო და სამხედრო საბჭო შექმნა.



საქართველოს მოქალაქე უპილასო ბაღი

დღესაც კიტოვანის რუსულ მისიაზე საუბრობენ, ისევე, როგორც, თავის დროზე კიტოვანს არ აკლდა შეფასებები და მას გრუს- გაშიფრულ აგენტად მიიჩნევდნენ. თუმცა, იყვნენ ისეთნიც, რომლებიც ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, მასში საბრძოლო რომანტიზმს ხედავდნენ და ვერ აცნობიერებდნენ, რომ მათამაკვლელ ომში ჩართვას არანაირი რომანტიკა არ ახლავს. ასე შერჩა კიტოვანს მისი თანაგუნდელებისგან მეტსახელი „ბატია“.

„ბატია“ წუხს, რომ საქართველოს მოქალაქეობა „ჩამოართვის“

ნათამე for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ კიტოვანი სახელმწიფო დამნაშავეა, რომელსაც დანაშაული, ვერავითარ შემთხვევაში, ვერ ევატიება, მაგრამ კიტოვანზე უფრო დიდი დამნაშავეები სხვები არიან. უფრო მეტიც, გაზრდული ასაკით, თქმით, კიტოვანს სხვებზე ნაკლები გონებრივი ჰორიზონტი აქვს, ამიტომ სხვებზე ნაკლები დამნაშავეა.

„მაგალითად, თენგიზ სიგუა არის შეუდარებლად უფრო დიდი დამნაშავე, შევარდნაძე არის პირველი ხარისხის დამნაშავე, სააკაშვილიც არის სახელმწიფო მოღალატე. თუმცა, განსხვავება ისაა, რომ კიტოვანის დანაშაული ცნობილია, ეს ყველაზე იცის, დამტკიცებული და დასაბუთებულია, შევარდნაძესა და სააკაშვილს კი

ბრალს რომ წაუყენებ, ამას დასაბუთება სჭირდება“, – აცხადებს ნოდარ ნათამე და დასძენს: სახელმწიფოს მოღალატე არ იმსახურებს მოქალაქეობას. თუ კიტოვანი საქართველოს მოქალაქეა, უნდა იჯდეს კიდეც ციხეში. უბრალოდ, მოქალაქეობის არმიცემა სასჯელის სხვა განზომილებაა, ვიდრე ციხე და დახვრეტა.

„სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ ერთადერთი სწორი რამ თქვა თენგიზ კიტოვანმა, რომ არა თვითონ, არც სააკაშვილი, არც შევარდნაძე არ იქნებოდა ხელისუფლებაში, არც ის ტრეგედიები იქნებოდა თითოეული ქართველი მოქალაქისთვის. უბედურება სწორედ ისაა, რომ კიტოვანის და იმ პერიოდის ზოგიერთი ადამიანის ქმედებებმა საქართველოს ბედი უარყოფითად განსაზღვრა და შევარდნაძე და სააკაშვილი კიტოვანის მაღლიერნი უნდა ყოფილიყვნენ.

„სამწუხაროდ, მაშინ განვითარებულ მოვლენებში კიტოვანის და შეიარაღებული ადამიანების როლი ძალზე მნიშვნელოვანია. ამიტომ უნდა გამოვიძიოთ 90-92 წლების მოვლენები, არა მარტო ის ეპიზოდი, როდესაც შეტევა განხორციელდა მთავრობის სახლზე, არამედ მთელი ის ორი წელიწადი როგორ ვითარდებოდა მოვლენები, გეგმაზომიერად როგორ მივდიოდით ესკალაციისკენ, როგორ გამოჩნდნენ შეიარაღებული ადამიანები პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორ მოხდა მათ მიერ სადავების ხელში აღება, სად იყო ჩარეული რუსეთის სპეცსამსახურები, რა როლს ასრულებდნენ საქართველოში რუსეთის რეზიდენტები. არ მიმაჩნია, რომ მოქალაქე ომი მოხდა, მაგრამ დაპირისპირებულ ქართულ ორივე ძალა როგორ იღებდა იარაღს რუსეთის სამხედრო მოქმედებების კორექტირება რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. ეს გამოსაძიებელია, სანამ ის თაობა ჯერ კიდევ გონებაზეა, ეს უნდა გააკეთოს ამ ხელისუფლებამ, რასაც არ აკეთებს. პირადად მეც მივცემ ჩვენებას, როგორც იმ პერიოდის მოვლენების ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი არა იმითომ, რომ კონკრეტულად რომელიმე პიროვნება გავასამართლოთ, არამედ იმითომ, რომ მეორედ არ გავიმეოროთ ეს ქართველებმა და ხელოვნური დაპირისპირების ტენდენცია აღკვეთოთ“, – აცხადებს მამუკა გიორგაძე.

რაც შეეხება რკინიგზის დაცვის საბაბით აფხაზეთში შესვლას, მას ახსენებდა, თუ როგორ ამაცობდა აფხაზეთში შესვლით ჯერ კიტოვანი, შემდეგ – შევარდნაძე, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი უფრო დიდი ვაჟკაცი იყო, რომ გასცა აფხაზეთში შესვლის ბრძანება, მაშინ ორივე ვაჟკაცობდა ამით, შემდეგ წაგებულ ომში ერთმანეთს აბრალდებდნენ, მე რა მექნა, ის შევიდაო.

ამის მიუხედავად, კიტოვანისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიმართ მამუკა გიორგაძე ლოიალურადაა განწყობილი. ის მიიჩნევს, რომ შეიძლება ადამიანი ციხეში ჩასვან, მაგრამ ის საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს, რადგან ამის გარეშე, ადამიანს ციხეშიც ვერ ჩასვამენ.

მანანა ნოზაძე

სახელმწიფოს მოღალატე არ იმსახურებს მოქალაქეობას. თუ კიტოვანი საქართველოს მოქალაქეა, უნდა იჯდეს კიდეც ციხეში. უბრალოდ, მოქალაქეობის არმიცემა სასჯელის სხვა განზომილებაა, ვიდრე ციხე და დახვრეტა.

კაკალ გულში

● საკმაოდ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ იმ მძიმე კრიზისულ დანაშაულებიდან, რომლებიც ხდება, არც ერთი არ არის ციხეებში წაწამებული ადამიანების მიერ, მწამებლების წინააღმდეგ ჩადენილი (მით უმეტეს, რომ მწამებლებიდან უმრავლესობა კვლავ თანამდებობებზეა და პრესის, თუ სხვა საშუალებებით ეს ფაქტები ყველასთვის ცნობილია).

● ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რისი ბრალაა ეს. მიზეზი საგარეუდოდ შეიძლება იყოს:

- 1. სამართლიანობის აღდგენის იმედი,
- 2. შიში, რომ ისევ იქ მოხვდებიან,
- 3. ხელის ჩაქნევა ყველაფერზე, ანუ საბოლოოდ გატყევა.

● ვინმე ფრანცის ფუკუიამას უთქვამს, სააკაშვილი უდიდესი პოლიტიკოსი იყო საქართველოშიო. ახლა, ამისთანა პოლიტოლოგი, თუნდაც ის ფუკიამა იყოს, შემოსაშვებია ქვეყანაში? არადა, ალბათ სუფრებიც გადაუფინეს გზებზე.

● სუბიექტური აზრი: პირადად ჩემთვის ჩაზო (NATO), აქაც და ქვეყნის გარეთაც, რამდენიმე უსიამოვნო ადამიანთან და მოვლენასთან ასოცირდება და ახლა რომ რეფერენდუმი გაიმართოს იქ შესვ-

ნეკროლოგიური ოქსაზები

● ვანო მერაბიშვილი ბაჩო ახალაიას რომანის მიხედვით მუნჯური ფილმის გადაღებას აპირებს.

● ნატომ მაპი, მაპმა ერი – იმიტომაც აღარ ვმღერო... მიშამ ხალხი, ხალხმა მიშა – ოქტომბერში კარგად თხლიშა.

ნაცმა კაცი, კაცმა ნაცი – ყველა ერთნაირად ბაცი, ტყვია დანა, დანა ტყვია – მორწმუნესი რა გვატყვია? თანამ ვენახი შეჭამა!

ლა-არშესვლის მიზანშეწონილობაზე, აუცილებლად „წინააღმდეგ“ მივცემდი ხმას. ეს, იმ „უაღრესად წელში გამართული“ მედროშეების დანახვაზე გამასხენდა, დღეს რომ „ნატოსკენ მიმავალ გზას“ (ჩერებ უელსი) დაადგინენ, საიდანაც, უმაღლ ქვეყნისთვის მავნე შედეგით ხელდამშვენებული დაგვიბრუნდებიან, რასაც, ცხადია, უდიდეს მიღწევად შემოგვასაღებენ („პაკეტს“ შემოგვიგდებენ).

„სამწუხაროა ყველა ესენი და უფრო მწარე კიდევ ის არი“, რომ ერთი თაობა დაკაცდა, რაც ამ უაზრო წრეზე დავიარებოთ...

ალიანაალიანი

მალე რუსი-აბარის მამისტრალი გაიხსნება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა ფანჭულიძე რუსი-აგარის მშენებარე მონაკვეთზე იმყოფებოდა. მან სამშენებლო კომპანია „ჩაინა ნუქლიარინდასორის“ გენერალურ დირექტორთან და სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი განახორციელა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, №60 ავტომობილსტრალის რუსი-აგარის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტი ითვალისწინებს 19 კმ-იანი გზის მშენებლობას. 500-ზე მეტი ადამიანი სამშენებლო სამუშაოებს 24-საათიან რეჟიმში, 2 ცვლაში ასრულებენ. გზის საფუძვლის მოწყობის ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია, აშენდა 36 რკინაბეტონის წყალგამტარი მილი, 6 მინისქვეშა სამურნეო გასასვლელი და 34 სახიდე გადასასვლელი.

ამ დროისათვის, მიმდინარეობს ბეტონის საფარის დაგების, 4 ხიდისა და 5 გაზამტარის სამშენებლო სამუშაოები. მდ. ფცაზე დასრულდა, ხოლო მდ. ფრონეზე ხორციელდება კოჭების მონტაჟის სამუშაოები.

ინტერპრესი

ფინანსები

საგადასახადო კოდექსი: კოსმეტიკური რემონტი თუ ძირსკრიული კორექცია?

ძვენიერი ეკონომიკური მდგომარეობისთვის, მენარმეთა მოღვაწეობისთვის ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, როგორცაა საგადასახადო კოდექსი, ბოლომდე დალაგება და აწარმოება ათწლეულების მანძილზე არა და არ ელირსა. მისი ყოველი ახალი რედაქციის შემდგომი საზოგადოებას გამუდმებით უმტკიცებდნენ, რომ ამ ვარიანტში მენარმეთა შენიშვნები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული, რომ იგი, შესაძლოა, უნაკლო არ არის, მაგრამ იდეალს რაც შეიძლება მიახლოებულია და ა. შ. მერე გადაიხდა დრო, იცვლებოდნენ „ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური ხომალდის“ კაპიტანი, მათი თანაშემწეები და საგადასახადო კოდექსის მორიგი რედაქტირების დროც დგებოდა. როგორი იქნება ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბოლო მცდელობა, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუმცა კი ცვლილებათა პაკეტი საზოგადოებას უკვე ოფიციალურად წარედგინა და, როგორც ამასთან დაკავშირებით ამ უწყებაში აცხადებენ, იგი „ბიზნესის ხელშეწყობისა და სტიმულირების მნიშვნელოვან მექანიზმებს ითვალისწინებს, ხოლო ცვლილებათა შემუშავების პროცესში აქტიურად ჩართული იყვნენ საქმიანი წრეების წარმომადგენლები და არაერთი ცვლილება სწორედ მათი აქტიურობის შედეგია“.

თუ კონკრეტულად ვილაპარაკებთ, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო გარკვეულ შემთხვევებში ზოგიერთი სახეობის გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებას, უკვე აწარმოებული და გაღიანების გადახდის ვალდებულებას, მის ჩამონერას, ასევე იცვლება ზოგიერთ სფეროში საგადასახადო მექანიზმები და სხვ.

აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, შიდა გადასახადებში მოქცეული საქონლის გადასახადებზე დადებული მომსახურება, მისი წარმოება, მომზადება, მონტაჟი, აწყობა, შეკეთება, აღდგენა და სხვ., დამატებული ღირებულების გადასახადით იბეგრება, რაც ქართულ კომპანიებს უცხოურებისთვის გასაწევ მომსახურებას საგრძობლად უძვირებდა და, ამდენად, მათ ნაკლებ კონკურენტუნარიანად ხდიდა.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება შიდა გადასახადების სასაქონლო ოპერაციებში მოქცეული საქონელზე ზემოწამოთვლილი მომსახურების ოპერაციები. აღნიშნული ცვლილება თვალნათელი რომ გახდეს, შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: თუ ადგილობრივი სანარმო უცხოურ კომპანიას შიდა რეჟიმში ემსახურება, ვთქვათ, სპორტულ ტანსაცმელს კერავს, რომელიც შემდეგ ქვეყნიდან გადის, ეს ადგილობრივი სანარმო დამატებული ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება. ამ ცვლილებას, მის ავტორთა აზრით, ის დადებითი მომენტი ახლავს, რომ ასეთი ადგილობრივი კომპანიები უფრო კონკურენტუნარიანი იქნებიან უცხოურ ანალოგიურ ფირმებთან შედარებით, რაც ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და კაპიტალდაზრუნველობა გარკვეულ ზრდას გამოიწვევს. ამ ცვლილების კიდევ ერთი დადებითი შედეგი ის იქნება, რომ ამ სანარმოთა მფლობელებს შეეძლება დაზოგილოთ თანხები კვლავ მიმართონ ბიზნესის გაფართოება-მოდერნიზებაზე და, შესაბამისად, ახალი სამუშაო ადგილები შექმნან.

ცვლილებების საგადასახადო დაგვიანების ერთ-ერთ უმწვეველს საკითხში, რომელიც ბევრ მენარმეს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. კერძოდ კი, სა-

ლარო აპარატის გამოყენების წესის დარღვევისთვის, 2013 წლის 1 იანვრამდე მათზე დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმები ჩამოინერება, რაც მენარმეთათვის კარგი შედეგია იქნება.

ამის გარდა, საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს ასევე ჩამოეწერება 2005 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო დავალიანებაზე აღიარებული დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმები, ოღონდ აღიარებული გადასახადის გადახდის პირობით.

ამ ცვლილებათა მიზანია ჯარიმების ლიბერალიზაცია და გადასახადის გადამხდელთათვის ხელშეწყობა, მათთვის შემდგომი განვითარების პერსპექტივების გაშლა.

კიდევ ერთი სიახლე საგადასახადო კოდექსში ის გახლავთ, რომ, თუ საგადასახადო დავალიანების თანხა 5 ათას ლარს არ აღემატება, საგადასახადო დავალიანების გასტუმრების გადავადება ერთი წლით იქნება შესაძლებელი უზრუნველყოფს წარდგენის გარეშე. ამ სიახლის მიზანია მცირე მენარმეთათვის დაუბრკოლებლად საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემა.


რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროორიტეტად აღიარებულ ტურისტულ სექტორს, მის ხელშეწყობად საგადასახადო კოდექსის ახალ რედაქციაში საგრძობლად დახვეწილი და გამარტივებულია ტურისტული სანარმოს ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებები. მაგალითად, თუ კომპანია აშენებს სასტუმროს, შემდგომ ყიდის ნომრებს და უკან იღებს მართვის ან იჯარის უფლებით, გაყიდვის გაფორმების დროს იგი დამატებული ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა მთლიანად ტურისტულ კომპანიას რჩება, რაც საქმიანობის გაგრძელება-განვითარების საკმაოდ ძლიერი სტიმული იქნება. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, რაც უფრო მეტი ფიზიკური პირი შეისყიდის სასტუმროში ნომრებს, შემდგომ კი ფართს გააქირავებს, მით მეტი ხალხი მიიღებს შემოსავალს. ამ ცვლილების მიზანი კი სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობის გაფართოებაა.

ზემოწამოთვლილი ცვლილებების გარდა, საგადასახადო კოდექსში კიდევ რამდენიმე სიახლეა, რომელიც მენარმე პირის მიერ საჯარო გადასახადების შესაბამისად მოქმედებას ეხება, რა დროსაც დაუშვებელი იქნება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ამ გადასახადების შესაბამისად ვერდიქტის მიღება და გადასახადის დაკისრება. ლაპარაკია აგრეთვე იმაზე, რომ თუ ორი საჯარო ან წინასწარი გადასახადი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, პირი უფლებამოსილია, იმოქმედოს ერთ-ერთის შესაბამისად და ეს კანონდარღვევად არ შეიძლება იყოს მიჩნეული. ამის შედეგად უნდა შემცირდეს საგადასახადო დავების ოდენობა, რაც დიდად უშლის ხელს მენარმე სუბიექტებს.

არის კიდევ რამდენიმე სხვა, შედარებით უფრო სპეციფიკური ცვლილება, ამდენად, მათ თუნდაც ზედაპირულად განხილვას არ მივყვებით. ხოლო ის, თუ რა შედეგს მოუტანს მენარმეებს შემოღებული ცვლილებები, რამდენად შეუწყობენ ისინი მათ ხელს საქმიანობაში, ამას შემდგომ ისევ მათგან შევიტყობთ.

ოთარ ტურაბალიძე

წელ-წელა ღაიძრა...



საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება ამ დროისთვის ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან, ოთხს აქვს რატიფიცირებული. ეს ქვეყნებია ლიგვა, ლატვია, ბულგარეთი და რუმინეთი.

ეკონომიკის ბაზარი გაიხსნა, გასტანა პროდუქტი სანთლით სანთლებში

საბარტემლოდ ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე პროდუქციის შეტანა შესაძლებელია. სხვა საკითხია, გვაქვს თუ არა რამე ევროპაში გასაგზავნი. თხილს და ორიოდ დასახელების პროდუქტს თუ არ ჩავთვლით, ბებერ კონტინენტზე ჯერჯერობით ბევრს ვერაფერს შევიტანთ, თუმცა, სამომავლოდ, ქართულ ეკონომიკას ევროპასთან ასოცირება ვინმე ძალიანაც ნაადრევს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მია ფანჯიკიძის თქმით, 2014 წლის პირველი სექტემბერს საქართველოსთვის ისტორიული დღეა, რადგანაც იწყება ასოცირების ხელშეკრულების ეკონომიკური ნაწილის ამოქმედება. რაც შეეხება რატიფიცირების პროცესს, ფანჯიკიძე ვარაუდობს, რომ იგი, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის დასრულდება.

„დროებითი ამოქმედება საქართველოს ეკონომიკას აძლევს საშუალებას უკვე დაიწყოს იმ პრივილეგიების გამოყენება, რომელიც მას ეძლევა ასოცირების ხელშეკრულებით. დარწმუნებული ვარ, ქართველი ბიზნესმენები, ქართული ბიზნესი ამ შესაძლებლობას ძალიან მალე გამოიყენებს. იმისათვის, რომ ეს ყველაფერი განხორციელდეს, გარკვეული რეფორმების შესრულება საჭიროა. ეს არის საკმაოდ რთული პროცესი, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, და დარწმუნებული ვარ, მალე ბევრი ისარგებლებს იმ პრივილეგიებით, რომლებსაც გვაძლევს ევროკავშირთან თანხმდებილი საკავშირო რეჟიმი“, – განაცხადა მია ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება იმას, თუ როდის დაიწყება რატიფიცირების პროცესი სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტში, ფანჯიკიძის ინფორმაციით, ევროპაში უკვე დამთავრდა არდადეგები და, ალბათ, უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში ისინი შეუდგებიან მუშაობას.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ღაბიატ ზალკალიანის ინფორმაციით, იმ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, თუმცა, აქვთ საქართველოში ინვესტიციის შემოტანისა და წარმოების დაწყების სურვილი, შესაძლებლობა ექნებათ პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გაიტანონ.

„თუკი მათ მიერ ნაწარმოები პროდუქცია იქნება შესაბამისობაში, ასევე მათაც ეს შესაძლებლობა დღეიდან ეხსნებათ“, – აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესაბამისად უდიდესი ნაწილი დროებით სწორედ პირველ სექტემბერს ამოქმედდა. ხელშეკრულების სრულ იმპლემენტაციამდე, ძალაში შევიდა დოკუმენტის 80%, მათ შორის, ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტი. იგი ითვალისწინებს ქართული სასოფლო-სა-

მეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას. შეთანხმების ფარგლებში, ქართული წარმოების თითქმის ყველა პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას საბაჟო ტარიფისგან გათავისუფლდება, თუმცა, გარკვეული შეზღუდვები მაინც იარსებებს.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ალექსი პეტრიასვილის ინფორმაციით, ასოცირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ პირველ შედეგებზე საუბარი ნაადრევია.

– ოფიციალურად, ფორმალურად შესაძლებელია საქართველოდან ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი გადასახადების გარეშე პროდუქციის შეტანა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მენარმეებმა, მწარმოებლებმა უმოკლეს დროში შეძლონ სტანდარტების შესაბამისი დონემდე მიყვანა, დაიკავონ თავისი ადგილი ევროკავშირის ბაზარზე. ეს არის ძალიან სერიოზული პერსპექტივა, რომელიც მთავრობამ გაუხსნა ასოცირების ხელშეკრულებით ქართველ მენარმეებს, – განაცხადა პეტრიასვილმა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დროებით ამოქმედებას ექსპერტები მთავრობის წევრთა მსგავსად, დიდი ალტკინებით არ გამოხმაურებიან. ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორგელიძე ამ ეტაპზე ბევრს არაფერს ელის, თუმცა კი ადასტურებს, რომ ეს არის სამომავლო შანსი.

– ჩვენ რომ შეგვეძლოს, ვისარგებლოთ ყველა იმ სიკეთით, რასაც ეს ხელშეკრულება გვაძლევს, დაახლოება 7-10 წლის განმავლობაში. დღეს არ არიან მზად ქართული კომპანიები ევროპულ ბაზარზე ღრმად ინტეგრაციისთვის. ამისთვის მათ არაფერი არ გააჩნიათ. ქვეყანას, რომელიც 75-80%-ით ჩამოკიდებულია იმპორტზე, არ შეიძლება დიდი პრეტენზიები გააჩნდეს, – აცხადებს გიორგელიძე.

ასოცირების შეთანხმებას ხელი 2014 წლის 27 ივნისს მოენერა. დოკუმენტის სრულად იმპლემენტაციამდე საქაროა მისი რატიფიცირება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის ეროვნული პარლამენტების მიერ.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება ამ დროისთვის ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან, ოთხს აქვს რატიფიცირებული. ეს ქვეყნებია ლიგვა, ლატვია, ბულგარეთი და რუმინეთი. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტს, ხელშეკრულების რატიფიცირება 18 ივლისს გაფორმდა.

გაბა დანელია

საპარტიკლო ინტეგრაცია დასავლეთთან მიზნად ისახავს არა ევროკავშირს, არამედ ნატოს

შპრნალისტის და კვლევების საერთაშორისო ცენტრმა „რუსეთი დღეს“ მოამზადა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველომ ჯერ კიდევ 1994 წელს იკისრა პოლიტიკური ვალდებულება „ეროვნული სამხედრო დაგეგმვისა და ბიუჯეტის ფორმირების გამჭვირვალობის შესახებ შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დამყარების მიზნით“.

საქართველოს ინტეგრაცია დასავლეთის ქვეყნებთან თავიდანვე მიმართული იყო არა ევროკავშირის მხარეს, არამედ სამხედრო ალიანს ნატოს სასარგებლოდ, ნათქვამია მოხსენებაში, რომელიც მოამზადა ჟურნალისტიკისა და კვლევების საერთაშორისო ცენტრმა „რუსეთი დღეს“.

„1994 წელს საქართველო შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. საქართველომ, როგორც სხვა ქვეყნებმა, რომლებიც შეუერთდნენ პროგრამას, იკისრა პოლიტიკური ვალდებულება „ეროვნული სამხედრო დაგეგმვისა და ბიუჯეტის ფორმირების გამჭვირვალობის შესახებ შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დამყარების მიზნით, აგრეთვე უნარის განვითარების შესახებ მიიღოს მონაწილეობა სამშვიდობო და

ჭუმანიტარულ ოპერაციებში ნატოს ხელმძღვანელობით“, — აღნიშნულია მიმოხილვაში. „უკრაინა, საქართველო, მოლდოვა: გზა ნატოსკენ ევროკავშირის გავლით“.

1996 წლისათვის საქართველო მონაწილეობას ღებულობდა ნატოს 20 ლონისძიებაში და „შემდგომ თანამშრომლობა განუხრელად იზრდებოდა: 1997 წელს — უკვე 70 ლონისძიებაში, 1998 წელს — 120-ში, 1999 წელს კი — 140 პარტნიორულ ლონისძიებაში“.

„1999 წლიდან საქართველო შეუერთდა 1994 წელს ინიცირებული „დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს“, რომელიც მიზნად ისახავდა პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ფორმირებათა ოპერატიული შეთავსებულობის მიღწევას ნატოს გაერთიანებულ სამხედრო ძალებთან. ამ პროცესებმა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში შეიტანეს თავისი კორექტივები: უწინარეს ყოვლისა, საქართველო იმავე წელს გამოვიდა დსთ-ს კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებიდან, რითაც საბოლოოდ აიკრძალა პროამერიკული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია“, — იტყობინებიან ანალიტიკოსები.

ამრიგად, „ინტეგრაციის დაწყები-

დანვე დასავლეთის ქვეყნებთან საქართველო მიზნად ისახავდა არა ევროკავშირის, რაც შეიძლებოდა აგესნა საქართველოს ხელმძღვანელობის ეკონომიკური ხასიათის მოტივებით, არამედ ნატოს მიმართულად, ესე იგი სამხედრო ალიანსის სასარგებლოდ“.

როგორც მოხსენებაშია ნათქვამი, ქართული არმიის რეფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამხედრო კადრების მომზადებას ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებში. „ამ დროს მათ არა მხოლოდ ამზადებენ ვალდებულებათა შესასრულებლად ქართულ არმიაში არსებულ მიზნებთან დაკავშირებით, არამედ მათგან გამოყოფენ პერსპექტიულ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ, შემდგომ დაიკავონ მაღალი პოსტები შეიარაღებულ ძალებში ან სახელმწიფო სტრუქტურებში, უზრუნველყონ პროდასავლური პოლიტიკის მემკვიდრეობა“, — იტყობინებიან ექსპერტები. ეს ნიშნავს, რომ არმიის რეფორმირების მიზანია ნატოს და საქართველოს ოპერატიული შეთავსებულობის მიღწევა.



განსჯა

თუ უკრაინაში კონფლიქტი რუსული სპინარით დასრულდა, შესაძლოა, საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვალოს

(მეზუთა გვერდიდან)

მიმდინარე პროცესების ფონზე პეკინი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მის ეროვნულ ინტერესებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ჩინეთი, რუსეთისგან განსხვავებით, ცდილობს „მიმდინარე ვეფხვის“ პოზა მიიღოს, რომელიც ეკონომიკური ძლიერებით აპირებს თავისი ჰეგემონიის განმტკიცებას და არა სამხედრო, არქაული მეთოდებით, როგორც ამას რუსეთი აკეთებს.

ნატოს გენმდგენმა რასმუსენმა განაცხადა, რომ შესაძლოა, საქართველოში ნატოს სამხედრო-სარწმუნოებრივი ცენტრი შეიქმნას. საუბარია იმაზე, რომ საქართველოში შეიქმნება სპეციალური მისია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს რეფორმების გატარებასა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში დაეხმარება. არ არის გამორიცხული, რომ უილისსამიტის შემდეგ, შესაძლოა, საქართველოს აშშ-ის თავდაცვის მდივანი ეწვიოს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნატო და აშშ კავკასიაში იმ თვალსაზრისით იჭერს თადარიგს, რომ აქაც მოვლენები უკრაინულ სცენარით არ განვითარდეს?

თუ ამ ფაქტებს მთლიანობაში შევაჯამებთ, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის. შესაძლოა, ჩვენ ბოლომდე არ მოგვწონდეს ნატოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ საქართველოში ამგვარი ცენტრის შექმნა მიანიშნებს, რომ ნატომ მოგვიანებით, მაგრამ მაინც ხედება, რომ რუსეთის იმპერიული მადა ასე სწრაფად არ დაცხრება. ნატო თავად გადადის სტრატეგიულ ინიციატივაზე და იმ რეგიონებში, სადაც მოსალოდნელია დაძაბულობა, იწყებენ სტრატეგიული პლაცდარმების შექმნას. თუ ეს ყველაფერი განხორციელდა, დაეხმარება საქართველოს თავდაცვის უწყებაში რეფორმების განხორციელებაში. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ეს მაინც არ არის ის, რაც დღეს საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის სჭირდება. ვიდრე პირდაპირ არ დადგება საკითხი MAP-ის საშუალებით თუ უმისოდ ნატოში ჩვენს განეკუთვნება, მანამდე საქართველოს უსაფრთხოების არქიტექტურა მყიფე იქნება.

პრეზიდენტი მარგველაშვილი იმედოვნებს, რომ ნატოს უელისს სამიტზე უკრაინა და საქართველო „ერთ ტანდემში იქნებიან“. ამის ალბათობა რამდენად დიდია?

ეს უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება უკრაინის მიმართულებით ოდნავ გააქტიურდა, მაინც იკვეთება, რომ უკრაინასთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებას სტრატეგიული ხედვა არა აქვს. როდესაც აქამდე საქართველოს ხელისუფლებას უკრაინასთან მიმართებაში არ ჰქონია სინქრონიზებული თავისი პოლიტიკა, ეულსზე უკრაინისა და საქართველოს „ერთ ტანდემად“ წარმოჩენა ძალიან გაჭირდება. გარდა ამისა, ამას ემატება ისიც, რომ უკრაინა მხოლოდ ახლა იწყებს თავისი არაბლოკური სტატუსის გადახედვას და შესაბამისად, მას ნატოსთან დასახლოებად უფრო დიდი დრო დასჭირდება, ვიდრე საქართველოს.

როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, ახალი პოლიტიკური სეზონი საქართველოშიც დაიწყო. თქვენი აზრით, როგორ აისახავს უკრაინის პროცესები საქართველოს შიდა პოლიტიკაზე?

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დასრულდება კონფლიქტი უკრაინაში. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ უკრაინაში კონფლიქტი რუსული სცენარით დასრულდა, შესაძლოა, საქართველოში პოლიტიკური ლანდშაფტი შეიცვლოს. ჩვენში არც მანამდე და არც ახლა არ ყოფილა პრორუსული ძალებისა და პარტიების ნაკლებობა. თუ გამოჩნდა, რომ დასავლეთმა უკრაინა განირჩია, დარწმუნებული ვარ, პრორუსული ორგანიზაციები საქართველოში კიდევ უფრო გააქტიურდებიან და ეცდებიან ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა გახდნენ. მათი ამოცანა იქნება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლა და რუსეთთან დათმობების ხარჯზე საქართველოს ინტერესების გაუთვალისწინებლად პოლიტიკის წარმოება.

არ წყდება ამერიკაში გამგზავრების საკითხზე პრეზიდენტსა და პრემიერს შორის მორიგი უთანხმოების შესახებ საუბარი. პრეზიდენტმა განაცხადა — „რაც ხელისუფლების ორ შტოს შორის ხდება, ახალი საკონსტიტუციო რეალობების ცხოვრებაში გადაყვანის პროცესია“. თქვენც ასე ფიქრობთ?

მე მაინც მგონია, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ბოლომდე გულწრფელი არ არის. საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ, რაც ხდება, არ არის პრორუსული დაპირისპირება და კონსტიტუციის არასრულყოფილებას უკავშირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა სხვა რამეს ადასტურებს. ამ თემაზე საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებები ქვეყნისთვის ძალიან წამგებიანია. სახელისუფლო შტოებს შორის კინკლაობა უკვე სასაცილოც კია და აზიანებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯს. საგარეო საქმეთა მინისტრმა არ უნდა გააკეთოს იმგვარი განცხადება, რომ ემორჩილება მხოლოდ პრემიერ-მინისტრს, ვინაიდან კონსტიტუციით, ისევე როგორც ყველა მინისტრი, უნდა ემორჩილებოდეს ქვეყნის მთავარსარდალსა და სახელმწიფოს მეთაურს. პრეზიდენტსა და პრემიერს შორის დავაში საგარეო მინისტრის ჩართვა ნამდვილად არ არის სასამართლო.

კონფლიქტიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მაინც რჩება აზრი, რომ ხელისუფლებაში გარკვეული ძალები ცდილობენ პრეზიდენტის ინსტიტუტის დაქინებას. ეს მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყანას პრეზიდენტი წარმოადგენს. დეტალებზე დავა შეიძლება, მაგრამ ეს საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანდა. ფაქტია, რომ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ასეთი სახის კინკლაობა ხელს არ უწყობს საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის პოზიციების გამყარებას.

კობა ბენდელიანი

დედაშიშის ზურბზე



საზრუნველობის ოპოზიციამ და პროუკავშირებმა გააკრიტიკეს ოლანდის გადაწყვეტილება, არ მიანდონ რუსეთს შვედეთში გადამხიდი „მისტრალი“

კონტრაქტზე უარის თქმა, აღნიშნავენ ასეთი ნაბიჯის მონააღმდეგეები, დაარღვევს საფრანგეთის რეპუტაციას, როგორც სავაჭრო პარტნიორისა და გაართულებს გემთსაშენი დარგის მუშაკთა მდგომარეობას. ამგვარ ზომას „არ აქვს არანაირი სამხედრო მნიშვნელობა“ უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით და მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ საფრანგეთი „ემორჩილება ამერიკის შეერთებულ შტატებს და ნატოს მებრძოდ პოლიტიკას“.

ნატოს სამიტი დიდ ბრიტანეთში იხსნება ფონზე — „ახალი საფრთხე ქველი მტრის — რუსეთისგან“

სამიტის ძირითადი თემები იქნება კრიზისები უკრაინასა და ერაყში. ლონისძიების ფარგლებში გაიმართება კომისია ნატო-უკრაინის სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკრაინის პრეზიდენტი პიოტრ პოროშენკო. სამიტი გაიხსნება ოფიციალური შეხვედრით ავღანეთთან დაკავშირებით.

სწავლება „სწრაფი სამიტი“ გაიმართება ლკოვის მიღამოვაში 1.3 ათასი სამხედრო მონაწილეობით 15 ქვეყნიდან

სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადასტურა 200 ამერიკელი ჯარისკაცის მონაწილეობა. პოლონეთი გაზაზნის ოცუელს. ნორვეგია წარადგენს გენერალური შტაბის ორ ოფიცერს, პენტაგონში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს იქნება „სამშვიდობო სწავლება“. მათი მონაწილეები არ განისვრიან სამხედრო ვაზნებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის ილანაპარ სახელმწიფოსთან ბრძოლაში აპირიკის შეერთებულ შტაბებს შეიქმნება სწავლას უფრო კონსტრუქციული მოკავშირეები, ვიდრე რუსეთია

შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ კოალიციაში ძნელად რომ შევიდეს ირანიც. ამ დროს ექსპერტების უფასებით, „ისლამური სახელმწიფოს“ კონტროლქვეშ არის ტერიტორია, რომელიც ფართობით დიდ ბრიტანეთს ეთანაბრება.

ნაციონალიზმის ანატომია

„ლევადა-ცენტრის“ გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, უკრაინაში მთელი დრამატიზმის მიუხედავად, რუსეთისთვის საკმაოდ მოთმინებით ეკიდებიან იმას, რომ იმ ქვეყნიდან გამოსულები (საკითხი შეეხება არა ლტოლვილებს დონბასიდან, არამედ მთლიანად უკრაინელებს) ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდი-გვერდ. ზოგიერთი სხვა ჩამოსულები აღიზიანებენ უფრო მეტად... როგორ მიგაჩნიათ, უნდა შეიზღუდოს თუ არა ცხოვრება რუსეთის ტერიტორიაზე:

პასუხები მოცემულია პროცენტებით.

წამოსულები ამიერკავკასიის ქვეყნიდან	38
წამოსულები ყოფილი სსრ კავშირის შუა აზრის რესპუბლიკებიდან	33
ჩინელები	29
ვიეტნამელები	27
ბოშები	23
უკრაინელები	8
ყველა ეროვნების წარმომადგენლები, გარდა რუსებისა	14
არ არის საჭირო შემოიღონ შეზღუდვები რომელიმე ერის ცხოვრებასთან დაკავშირებით	21

„ლევადა-ცენტრის“ გამოკითხვა მოეწყო 1600 კაცს შორის რუსეთის ფედერაციის 46 რეგიონის 134 დასახლებულ პუნქტში.

გაპოპოპატი... სიტბო?



სიტბო? კი არ უნდა გამოთქვა, უნდა გამოხატო. გამოთქმით კი შეიძლება გამოთქვა აზრი, იდეა, მადლობა... (ოღონდ მადლობას ნუ მოიხდით!). ამას გვიჩვენებენ ენათმეცნიერნი. რაც შეეხება გამოხატავს ზმნას, აი, როგორ არის ჩამოყალიბებული მისი მესამე მნიშვნელობა ქველ-ში: (გამო)აჩენს, (გამო)ამჟღავნებს, (გამო)ავლენს (რაიმე სულიერ მდგომარეობას)...

ამჟამად კი (ზოგი სხვა აკვიატებული სიტყვისა არ იყოს) წამდაუნ-უმ „გამოთქვამთ“ ყველაფერს: „ორატორმა გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველებს ზომიერება არა გვაქვს“... ამ ზომიერების უკმარისობის ბრალია, ალბათ, რომ ასე გადმოაცემინა მთქმელს თავისი აზრი, და ჩვენც დაუფიქრებლად გამოთქვამს ზმნას გამოხატავს, ამჟღავნებს, ავლენს, აჩენს ზმნების მაგივრობას ვანევიანებთ.

მოვიხმობთ მაგალითები: „ჩვენი საზოგადოება გამოთქვამს (უნდა იყოს: გამოხატავს, ავლენს...) თავის გაკვირვებასა და შეშფოთებას მომხდარის გამო“; „მსახიობმა დამსწრეთა წინაშე გამოთქვა (უნდა იყოს: დამსწრეთ გაუზიარა...) თავისი შთაბეჭდილებანი...“; „მეცნიერმა გამოთქვა კრიტიკა ახლახან გამოსული წიგნის ზოგიერთი დებულების გამო (უნდა იყოს: გააკრიტიკა ან: დაინუნა ახლახან გამოსული წიგნის ზოგიერთი დებულება)“; „პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა მტკიცე გადაწყვეტილება (უნდა იყოს: განაცხადა ან: თქვა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი), გადაჭრას ეს საჭირობოროტო საკითხი“; „იტალია გამოთქვამს (უნდა იყოს: გამოხატავს...) სურვილს, უზრუნველყოს საქართველოში ეკონომიკური რეფორმის პროცესის კონკრეტული მხარდაჭერა“... (ეს წინადადება, მე რომ მკითხოთ, საერთოდ დასახვეწია. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, ასე გაგვემართა იგი: „იტალია გამოხატავს სურვილს, კონკრეტულად დაუჭერს მხარს (ან: კონკრეტული მხარდაჭერა გაუნიოს) ეკონომიკური რეფორმის პროცესს საქართველოში“).

ანდა ავიღოთ ასეთი წინადადება: „ოფიციალურ გროზნოს არაერთხელ გამოუთქვამს მხარდაჭერა საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკისათვის აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე“. ვთქვათ, გამოუთქვამს ზმნა გამოხატავს ზმნით შევცვალოთ. უხინჯო იქნება წინადადება? „პოლიტიკისათვის... დარეგულირების თაობაზე“ – ამას რაღა ვუყოთ? ვცადოთ და გავასწოროთ. ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად მივიღებთ შემდეგ წყობას: „ოფიციალურ გროზნოს არაერთხელ განუცხადებია, რომ მხარს უჭერს საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის პოლიტიკას აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის მიმართ (ან: საკითხებში...)“. ცოტათი მაინც ხომ სჯობს?

აქ ჩვენ განვიხილეთ გამოხატავს, ავლენს, ამჟღავნებს ზმნების ხმარების მაგალითები. ახლა კი გავარჩიოთ ის შემთხვევები, როცა მათგან ნაწარმოები სიტყვები: გამოხატება, ვლინდება, მჟღავნდება და მისთ. მეტწილად ქმნიან ქართლისათვის სტილიზტიკურად შეუფერებელ ფორმებს-ში თანდებულთან ერთეულებთან დანყვილებით.

მეტწილად-მეთქი, რომ ვამბობ, იმის თქმა მინდა, რომ არის გამოხატვის მომენტები, როცა „რაში გამოხატება“ მოდელი სამჯობინებელია. მაგალითად, ასეთ გამოთქმაში: „მწერლის შემოქმედებაში გამოხატა (აისახა) მთელი ეპოქა“. მაგრამ, როცა კონკრეტულზე მიდგება საქმე, ჩემი აზრით, უპირატესობა მაინც „რით გამოხატება“ კონსტრუქციას უნდა მივანიჭოთ.

რამდენიმე მაგალითი: „...ჩარევა რაც გამოხატება... შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შემლაში (უნდა იყოს: ხელის შემოღობი)“; „რა-

ტომ არ აღშფოთდით იმ უმსგავსობის გამო, რაც უკანონო მოსმენაში (აჯობებდა: მოსმენით) გამოიხატა“...

დაინტერესებაც ასეთ დღეშია: „გამოხატავს დაინტერესებას... საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონული წარმომადგენლობისა და ეროვნული მისიის თავის ტერიტორიაზე დაარსებაში...“; „კრედიტების გამოყოფაში ავტორის დაინტერესება...“; „კომპანია დაინტერესებულია ტრანსპორტირებადი ნავთობის მოცულობის ზრდაში...“ და სხვ. უეჭველია, აქ უნდა იყოს დარასებობა, გამოყოფით, ზრდით.

რაკი დაინტერესება სიტყვამ ასე დაგვიანტერესა, უინტერესო არ იქნება შევეხოთ კიდევ ერთ შემთხვევას, როცა მისი და შედის ზმნის მონანილობით რუსული გამოთქმის ЭТО ВХОДИТ (НЕ ВХОДИТ) В ЕГО ИНТЕРЕСЫ, ЭТО ЕГО ИНТЕРЕСАХ – გავლენით ქმნიან ქართლისთვის არაბუნებრივ კონსტრუქციებს: „ბაზების შექმნა ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის (უნდა იყოს: ინტერესი ან ინტერესებს შეესაბამება)“ და ამის ანალოგიით: „ეს მის კომპეტენციაში შედის (უნდა იყოს: კომპეტენციას მიეკუთვნება...)“; „მის გეგმებში არ შედიოდა (აჯობებდა: მისი გეგმებით არ იყო გათვალისწინებული ან: მისი გეგმები არ ითვალისწინებდა) გამაგრებული პუნქტების დაკავება(ს). ამას დავსჯერდეთ.

კიდევ ერთი მომენტი, და ამით მოვათავოთ ეს თემა. აქ არაერთხელ მოვიყვანეთ-ში თანდებულთან სიტყვების გამოყენებით წარმოებული გამოთქმები. ამ თვალსაზრისით უმართებულო ფორმად უნდა მივიჩნიოთ „გაყიდვაში“ ტიპის გამოთქმები. ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დამდეგს პროფესორი გ. შალაბერიძე წერდა: „დედაენას დიდად ვნებს არაქართუ-

ლი კონსტრუქციების დამკვიდრება, რომლებშიც მხოლოდ სიტყვებია ქართული, სინტაქსი კი გაუგებარია. დიდი მუშაობა დაგვიჭრდა იმისათვის, რომ ქართულიდან გამოგვედგინა „გაყიდვაშია ნაფტალინის“ ტიპის გამოთქმები“...

ხედავთ? დაგვიჭრდა... რომ გამოგვედგინაო. ახლა დიდი მუშაობა კი არა, დიდი ბრძოლა და ოფლის ღვრა დაგვიჭრდა იმისათვის, რომ ამოვიძრკვოთ არა მართო „ნაფტალინი გაყიდვაშია“ (ათასჯერ უნდა გაამრავლოთ მაშინდელი მალაზიების რიცხვი იმ ფარდულეების, ჯიხურების, სარდაფების რიცხვზე, რომ წარმოდგინოთ მათი რაოდენობა, რომელთაც თითქმის ყველას გაკრული აქვს მსგავსი განცხადებანი), არამედ ისეთი მახინჯი გამოთქმები, როგორც არის: „გაყიდვაში გამოვიდა(?)“ ახალი წიგნი“ (ტელერეკლამა), „მკვლელი მიმალვაშია“, „დააპატიმრეს ძებნაში მყოფი მოქალაქე“, „მადლობა გადაიხადეს დახმარებისათვის, რომელსაც ქართველ კოლეგებს უწევდა მიმალვაში მყოფ საშიშ დამნაშავეთა დაკავებასა და გადმოცემაში“, „მალვაშია“... და სხვა მრავალი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ კითხვა „რაშია საქმე?“ არაქართული კონსტრუქციაა, მაგრამ მან კარგა ხანია, ჩვენ ენათმეცნიერთა თქმით, „სოციალური ფუნქცია“ შეიძინა და, ალბათ, ამაოდ დაეშვებოთ მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ როგორმე შევზღუდოთ მისი მსგავსი ფორმების ხმარება. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, გავარჩიოთ იგი და ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია ამ საკითხის გადაწყვეტა.

როცა საქმე რაიმე მოვლენის, ფაქტის არსს, ტენდენციას, მოქმედების, ღონისძიების მიზანს ეხება, არცთუ იშვიათად, ასე აყალიბებენ ხოლმე კითხვას: „რაში მდგომარეობს?“. მაგალითად, „რაში მდგომარეობს მათი საქმიანობის მიზანი“-ო. და თუ იქვე განმარტებს ეს მიზანი, დაახლოებით ასეთ ფრაზას შემოგვთავაზებენ: „მათი საქმიანობის მიზანი მოსახლეობის ხელმოკლე ფენების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში, ჰუმანიტარული დახმარების სამართლიან განაწილებაში, პენსიების დროულად მიცემაში (და კიდევ ვინ იცის, რაში არ) მდგომარეობს“.

ზმნის პირიანი ფორმები რომ გვეხმარა, ეს წინააღმდეგ დაახლოებით ასე გაიმართებოდა. „მათი საქმიანობის მიზანი (არსი) ის არის (იმით გამოიხატება), რომ გააუმჯობესებინონ მოსახლეობის ხელმოკლე ფენების საყოფაცხოვრებო პირობები, სამართლიანად განაწილებინონ ჰუმანიტარული დახმარება, დროულად მიაცემინონ პენსიები“.

შევადართო და განვსაჯოთ, რომელი წყობაა უკეთესი.

კიდევ რამდენიმე მაგალითი: „საქმის ქეშმარიტი აზრი კი აი რაში მდგომარეობს (უნდა იყოს: აი რა არის ან: აი, რით გამოიხატება)“; „სიმართლე კი იმაში მდგომარეობს (უნდა იყოს: ის არის...)“, რომ ადრე თუ გვიან სასაქართველო ნატოს წევრი გახდება“; „კანონპროექტის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს (უნდა იყოს: ის არის ან: იმით გამოიხატება), რომ შეიქმნას გამჭვირვალე საზოგადოება, რომელშიც მაქსიმალურ საზოგადოებრივი კონტროლი დანესდება სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობაზე (ბოლო ნაწილიც განსაზღვრებულია. უნდა იყოს: საზოგადოებრივი კონტროლი გაენიან: დაუნესდება სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობას და ა. შ.

ყოველივე ეს, მეტი რომ არ ვთქვათ (რატომღაც ზოგიერთნი ამას ასე ამბობენ, რბილად რომ ვთქვათო. კაცი ვერტმა არ იცის, რა არის რბილად თქმა), დაუკვირვებლობისა და ძვალ-რბილში გამჯდარი სტერეოტიპის ბრალია.

ოთარ კაპანაძე

არღვიწყვა

აკ, ნუსხელ მესიზმრა...

როზმორ მოგვხვდა თბილისი-სოხუმის მატარებელში, ვერ გეტყვით, ის კი ვიცი, რომ საცხე ვარ ემოციებით. 20 წლის შემდეგ მივემგზავრები სოხუმში. სახლში მივდივარ. ვიცი განადგურებული, გაცამტვრეული დამხვედები, მაგრამ ჩიშკარს გავაღებ, მივიხედ-მოვიხედავ, მაღლა ავიხედავ. ვიცი, ვიცი, ფანჯრების მაგივრად შავად მზირალი სივარდილე დარცხენით დამიკრავს თავს. მაგრამ მოიცა, ლილი, რა დროს ოცნებაა, მერე რა, რომ განადგურებულია სახლი. ის სახლი ხომ ჩემია, ჩემი შრომით აშენებული, ჩემი შრომის ნაყოფი, ჩემი მყუდრო თავშესაფარი, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა არც თუ ცუდი ოჯახი. ოჯახი, სადაც სუფევდა სიტბო, სიყვარული და მომავლის იმედით გამსჭვალული ადამიანები. ეს ყველაფერი და ყველაწი ჩვენ ვართ ჩემი მეუღლის მეთაურობით.

მიჭირს მატარებელი... ვუახლოვდები სოხუმს, ჩემი ცხოვრების გზატკეცილი, რომელზეც გაიარა ჩემმა ახალგაზრდობის წლებმა, რომლის გახსენებაც არ შემრცხვება. აი, სადგურში შევდივართ... გული აჩქარებულად ძგერს, მეჩქარება, ვიხედები დაფეთებული თვალებით, ხომ ყველაფერი შეგვკრებ, ხომ არაფერი მრჩება... თავს არ ვუსვამ კითხვას, რატომ ვარ მარტო, ამისათვის არ მცალია. აი, გაჩერდა მატარებელი, ნაცნობი სადგური,

ნაცნობი ადამიანები, მაგრამ მახატით, მეჩქარება. ჩამოვდივარ მატარებლიდან, ჩქარი ნაბიჯით გავდივარ პერონიდან. ღმერთო, გული ამოვარდნაზე მაქვს, ნაბიჯებს ვუმატებ, ძლივს ვსუნთქავ, მივუახლოვდი ჩემს სახლს...

სახლს არ ვუყურებ, ალაყაფის კარს ვკიდებ ხელს, ხელი მიკანკალებს. დამშვიდდი ლილი, გააღე კარი. რა დაგემართა? კარის ხმა და ჩემი შვილის შემფოთებული ხმა: ხომ კარგად ხარ, დედა! ზური დაბრუნებულია სამსახურიდან, მასაც აქვს გასაღები, არ გამალვიძა, თვითონ გაუღია კარები... გული ძლიერად ძგერს და თითქოს მსაყვედურობს, რატომ წამალს არ მომაშველებ, მიჭირსო... გათენდა. ადრეული დილაა. ყველაფერი ჩვეულებრივი კალაპოტით მიედინება.

ეჰ... ნუსხელ სიზმარი მესიზმრა.
ლილი ტყვალაძე-მშვიდლოძე,
სოხუმის რეჟისორი.



სტარტის წინ

ქეცხაიას პრესკონფერენცია და ახალი სათამაშო ფორმების წარდგენა

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცხაიას ირლანდიისთან მატჩის წინ პრესკონფერენციას ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ 6 სექტემბერს 20 საათზე გამართავს. მისი დასრულების შემდეგ ეროვნული გუნდის ახალი სათამაშო ფორმებს წარადგენენ. იმავე დღეს ქეცხაიას შეგიძლია ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ ივარჯიშებენ. წვრილი 17:45 საათზე დაიწყება და მედიისთვის ღია მხოლოდ საწყისი 15 წუთი იქნება.



ირლანდიელთა მთავარი მწვრთნელი მარტინ ონილი 6 სექტემბერს 18:30 საათზე პრესკონფერენციას „დინამო არენაზე“ ჩაატარებს, ხოლო 19 საათზე ირლანდიელთა ვარჯიში დაიწყება, რომელსაც მედია მხოლოდ პირველი 15 წუთი დაესწრება. აქვე გაგაცნობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიცია-

ლურ განცხადებას მომავალ მატჩზე დასწრების მსურველი მედიასაშუალებებისთვის აკრედიტაციების მიღების თაობაზე: „7 სექტემბერს საქართველოსა და ირლანდიის შესარჩევ მატჩზე აკრედიტაციების მსურველ მედიორგანიზაციებს შევხვდებით,

რომ დღეს საღამოს 18 საათზე მთავრდება აკრედიტაციების განაცხადების მიღება ჩვენს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: media@gff.ge.

მოთხოვნა ძალიან დიდია და ამჟამად მიღებული გვაქვს 70-მდე ქართული და უცხოური მედიორგანიზაციის განაცხადი. შესაბამისად, მოთხოვნებიდან და „დინამო არენის“ პრესლოჟოში არსებული ადგილების რაოდენობიდან გამომდინარე, აკრედიტაციები გაიცემა შეზღუდულად და ყველა განაცხადი ვერ დაკმაყოფილდება. პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ენიჭება სპორტულ მედიას.

ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პრესლოჟასა და საპრესკონფერენციო დარბაზში თანმზღები პირების, მათ შორის ბავშვების შემოყვანა ვერ მოხერხდება და ყველა აკრედიტაცია რამდენჯერმე ინდივიდუალურად შემოწმდება.

აკრედიტაციების გაიცემა დაიწყება 6 სექტემბერს „დინამო არენის“ მედიაცენტრში 16 საათიდან. გთხოვთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ ეს დრო და მოზარდები, სფეროს პრესსამსახური და მედია-ოფიცერი ადგილზე გვიან საღამომდე იმუშავენ.

თამაშის დღეს, 7 სექტემბერს, სტადიონის ტერიტორიაზე აკრედიტაციები აღარ გაიცემა. გამონაკლისის სახით, სტადიონის ერთ, საგანგებოდ გამოყოფილ სალონოში, დილის 11 საათიდან, სიის მიხედვით შეძლებთ აიღოთ აკრედიტაცია“.

გიორგი შოთაძე

ტყვიის სროლა

ამოსამიზნად – ლიცენზიები



ში მას საუკეთესო სუთეული მიიღებს, სპორტულში – ოთხეული. გრანდაში გაისად ბაქოში გასამართავი პირველი ევროპული თამაშების სარეიტინგო ქულების მოგროვებაზე შეიძლება. აზერბაიჯანის დედაქალაქში მოხვედრის დიდი შანსი აქვთ სალუქვაძესა და ქადაგიძეს. არ არის გამორიცხული, ბაქოს ლიცენზიები ჩვენმა ახალგაზრდებმა მოიპოვონ. ქადაგიძე სპორტული პისტოლეტით საკვალიფიკაციო ეტაპზე 8 სექტემბერს იასპარეზებს, ფინალი კი მეორე დღეს ჩატარდება. სალუქვაძე ამავ დისციპლინაში 10 სექტემბერს გამოვა. 11-ში ქადაგიძე და მატყვარიანი პნევატური პისტოლეტით

იბრძობენ საპრიზო ადგილებისთვის, სალუქვაძე და კილაძე კი ამ დისციპლინაში მეორე დღეს მოსინჯავენ ძალებს. მრგვალ სტენდზე ქალთა შორის ნატალია პანასი იასპარეზებს. ამას წინათ იგი ჩინეთში მსოფლიოს თასის ფინალში გავიდა და მეხუთე ადგილი დაიკავა. ვაჟებში საქართველოს სპორტულ ღირსებას დავით ქვათაძე, გივი შენგელია და მამუკა ზარაფიშვილი დაიცვენ. ახალგაზრდებში მათ მხარს აუბამენ თენგიზ იმნაიშვილი, ირაკლი ლომიძე და ვლადიმერ ნარჩემაშვილი. ოლიმპიური ლიცენზიები აქაც გათამაშდება, მაგრამ მხოლოდ – 2-2, რადგან სასტენდო სროლაში მსოფლიოს ჩემპიონატები ყოველ წელიწადს იმართება და მესტენდურებს საგზურების მოპოვების ბევრად მეტი შანსი აქვთ.

ლევან ცინცაძე

განვალური რეპეტიცია

თბილისში ჩამოსვლაზე ირლანდია ომანი დაამარცხა



ირლანდიელებმა ანგარიში მე-20 წუთზე გახსნეს, როდესაც მილერის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ ბურთს მიმართულმა ბრეიდიმ შეუცვალა და დოილიმა ზუსტად დაარტყა – 1:0. დოილისთვის ეს სანაკრებო კარიერაში გატანილი მე-14 გოლი აღმოჩნდა.

82-ე წუთზე კუთხური ბრეიდიმ მონაოდა და ცენტრალურმა მცველმა პირსმა ომანელთა კარი მეორედ აიღო – 2:0.

აქვე გეტყვით, რომ განვლილი შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ დევიდ მილერი დაასახელეს.

7 სექტემბერს, ევრო-2016-ის შესარჩევი ციკლის სტარტზე, საქართველოს ნაკრები ირლანდიას ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ უმასპინძლებს. მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

კობა კობახიძე

ლეგიონერი

ცსკა-მ მანუჩარ მარკოვიშვილი სარმკლავო რბოლაში გადამო

დაბალმობით 1 თვის წინათ მოსკოვის ცსკა-ში გადასულ მანუჩარ მარკოვიშვილს ის პატივი ხვდა წილად, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ქართველი უკანახაზელი საკუთარ თამაშებზე დასასწრებო აბონემენტის სარეკლამო რგოლში გადაიღო.

კლიპი გაშარებულია ცნობილი ფილმის – „კავკასიელი ტყვე ქალის“ კადრით და მასში მარკოვიშვილი რუსულთან ერთად ქართულადაც ლაპარაკობს.

მარკოვიშვილი რუსულ გრანდში გასულ აგვისტოში თურქული „გალათასარაიდან“ გადავიდა. ის კომპეტენტურ საკალატბურთო პორტალ „ეურო-ბასკეტ.კომ“-ის ცსკა-ს გვერდზე მოსკოველთა სასტარტო ხუთეულის წევრად მოიაზრება.

შეგახსენებთ, რომ „მანუჩა“ 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობის მი-



ლება ტრავმის გამო ვერ მოახერხა, თუმცა, უკვე მწყობრშია და ცსკა-სთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება.

ვიტალი ჯაფარიძე

ნოვაკის მერვე ნახევარფინალი

27 წლის სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი ზედიზედ მერვედ გავიდა აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში და ამ ტურნირზე 50-ე მოგება იზეიმა. „ნოლემ“ გუშინ დილით შოტლანდიელ ენდი მარეის 7:6, 6:7, 6:2, 6:4 სძლია და ნახევარფინალში იაპონელ კეი ნიშიკორის შეხვდება. ნიუ იორკში ჩატარებულ ჯოკოვიჩის ნახევარფინალს რაც შეეხება, სერბი 6-ჯერ გავიდა აშშ-ის ჩემპიონატის ფინალში, თუმცა ჯერჯერობით ამ შეჯიბრების გამარჯვებული ერთადერთხელ, 2011-ში გახდა.

ჯოკოვიჩისა და მარეის მეოთხედფინალს რაც შეეხება, მატჩი 3 საათსა და 31 წუთს გაგრძელდა. ნოვაკმა 7 ბრეიკი და 8 ეისი შეასრულა, ენდისთან პირადი შეხვედრების ანგარიში კი 13:8 გახდა თავის სასარგებლოდ. ამასობაში მეოთხედფინალში სტენ ვაგერინკას ძღვევისა და ნახევარფინალში გასვლის შემდეგ კეი ნიშიკორი რეტირებულ მონაწილეს დაუბრუნდება და კლასიფიკაციაში მარეის გადაასწრებს.



მანუჩარ გიორგაძე

ინტერნეტიდან

რიანა „ლივერპულის“ აქციონერი გახდება

თითქმის საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ მთელ მსოფლიოში პოპულარული ლათინოამერიკელი მომღერალი რიანა ცნობილი ინგლისური საფეხბურთო კლუბის „ლივერპულის“ აქციებს შეიძენს და გუნდის დირექტორატის ერთ-ერთი წევრიც გახდება.

რიანას „ლივერპულის“ აქციების შექენა ცნობილმა ფეხბურთელმა დიდი დროგამ უჩიჩია, რომელიც ლათინოამერიკელ მომღერალთან თურმე კაი დიდი ხანია, რაც მეგობრობს და ამ მეგობ-

რობის მიუხედავად ბულვარულმა მედიამ რიანასა და დიდი დროგას სასიყვარულო ამბები ვერაფრით აღმოაჩინა. ერთი სიტყვით, რიანა „ლივერპულის“ აქციონერი გახდება და ამით სავარაუდოდ ინგლისური კლუბიც ძალიან იხიერებს, რადგან ასეთი ცნობილი პოპ-ვარსკვლავი კლუბის საიმპიჯოდაც კარგია და ახალგაზრდა თაობის გულშემატკივრების მოსაზიდადაც.

როსტომ რაჭველიშვილი



სარედაქციო ფოსტიდან

ჩემი ოჯახი უიფილოვს — სოციალური დახმარება უეგვიფილუს!

პატივცემულო რედაქციო, ამ ბარათს გწერთ ფშვიდან — დუშეთის რაიონის მალაქოთიან სოფელ კანაღაში...

მი, როგორც ოჯახის უფროსის დახმარება — 30 ლარი. ეს თანხა, რა თქმა უნდა, საკმაოდ მცირეა...

წარმოადგენს, რა ხანია სხვა პიროვნებას ეკუთვნის, სოციალური დახმარების მოხსნით ჩემს ოჯახს დიდი დარტყმა მიაღება...

გია სორნაული (50 წლის), დუშეთის რაიონი, სოფელი კანაღაში

ინფორმაცია

საირტიანი სასაქონლო უაქციონო საქონლი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით აქციონური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციონური მარკის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე...

თიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი ავრცელებს. როგორც გიორგობიანმა განაცხადა, ინფორმაციას, კადრებს და კომენტარს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცოტა ხანში გაავრცელებს.

საპატიმროებში აპუაგალ 35 ტუსაღი უიფილოვს

„დღესდღეობით დაწესებულებებში 10 240-ზე მეტი პატიმარი გვყავს და აქედან ინდივიდუალურად, ეს არ არის მასიური, 35 მოშიშვლილია. ისინი ითხოვენ საქმეების გადახედვას და აქვთ პრეტენზია ბრალდებათა დაკავშირებისა და აკავშირებისა...



მკვლელობა ლენტეხში

ლენტეხში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით არის მოკლული. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა უკვე დადგენილია და მის დასაკავებლად შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

ბათუმში თურქმენი ქალბატონი სკამს

საძარბაველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უარყოფს ინფორმაციას, რომ ბათუმში უცხო ქვეყნის მოქალაქე ქალი პოლიციელის შვილმა სცემა. როგორც სამინისტროში განაცხადეს, არც მომხდარში მონაწილე პირი და არც მამამისი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები არ არიან.

აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ერთი პირია დაკავებული, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

მელორ, ციცილო, მერაბ, მანონ, მარიკა ტყეშელაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მაყაალა უიფილოვა დაკრძალვა 6 IX, 15 სთ. აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფელი გაუწყინარი.

განცხადება სს „ელმაგალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ სს „ელმაგალმშენებლის“ წესდების 19.5 პუნქტის და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1 პუნქტის შესაბამისად, სს „ელმაგალმშენებლის“ აქციონერების 87%-ის მფლობელმა კომპანიამ LOKO TRANS HOLDINGS B.V (საავტორო რეგისტრში რეგისტრაციის 34362504, ოფისის მისამართი: ამსტერდამი, ორლიპლანის ქუჩა 10, სართული 24, 1043), კომპანიის დირექტორის — AlliedCorporate Management B.V-ის (საავტორო რეგისტრში რეგისტრაციის 34245837, ოფისის მისამართი: ამსტერდამი, ორლიპლანის ქუჩა 10, სართული 24, 1043DP) სახით, ზემოთხსენებულს წესდების საფუძველზე განიხილა შემდეგი საკითხები: 1. სს „ელმაგალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის ანგარიში სს „ელმაგალმშენებლის“ მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ. 2. სს „ელმაგალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. 3. სს „ელმაგალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ერთობლივი წინადადება 2013 წელს მიღებული წმინდა მოგების განაწილების შესახებ. 4. 2014 წლისთვის სს „ელმაგალმშენებლის“ აუდიტორის არჩევა. საკითხების განხილვის შედეგად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები: 1. დამტკიცდეს სს „ელმაგალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის ანგარიში სს „ელმაგალმშენებლის“ მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ. 2. დამტკიცდეს სს „ელმაგალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2013 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. 3. დათანხმდეს სს „ელმაგალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ერთობლივი წინადადება — არ განხორციელდეს სს „ელმაგალმშენებლის“ 2013 წლის წმინდა მოგების 4 706 540 ლარის (ოთხი მილიონ შვიდას ექვსი ათას ხუთას ორმოცი ლარი) განაწილება. 4. სს „ელმაგალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების თანახმად, სს „ელმაგალმშენებლის“ აუდიტორად 2014 წლისთვის არჩეულ იქნას შპს „ქართული აუდიტორული კომპანია“ (საიდენტიფიკაციო კოდი № 205207319, დარეგისტრირებული თბილისის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო ინსპექციის მიერ 28.05.2007წ.). სს „ელმაგალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო

სცადეთ! მარილბუხისგან გათავისუფლების უნიკალური ტიპის მეთოდი. მკურნალბუხის ეს ხერხი იმდენად ეფექტურად გამოდგენს ზედმეტ მარილს, რომ სპეციალისტების რჩევით, პროფილაქტიკისთვისაც კი, მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა მივმართოთ. ზედმინერვით მისდევთ ქვემოთ მოყვანილ რჩევებს და გამოჯანმრთელდით! აიღეთ ექვსი ცალი, ხუფიანი მანვნის ქილა. დანომრეთ. პირველ ქილაში ჩაყარეთ სამი კოვზი ბრინჯი, დაასხით პირამდე წყალი, დაასურეთ ხუფი და შედგით მაცივარში. მეორე დღეს, აიღეთ მეორე ქილა. მასში ჩაყარეთ სამი კოვზი ბრინჯი, დაასხით პირამდე წყალი, დაასურეთ ხუფი და შედგით მაცივარში. №1 ქილიდან კი გადაასხით წყალი და თავიდან დაასხით ახალი. მესამე დღეს აიღეთ №3 ქილა, ჩაყარეთ სამი კოვზი ბრინჯი, დაასხით პირამდე წყალი, დაასურეთ ხუფი და შედგით მაცივარში. №1 და №2 ქილებიდან კი გადაასხით წყალი და თავიდან დაასხით ახალი. ასე გააგრძელეთ ექვსი დღე. ახალ ქილებში ჩაყარეთ ბრინჯი და დაასხით წყალი, წინა დღეებში დაყენებულებს კი გამოუცვალეთ ხოლმე. მეშვიდე დღეს, უზმოზე, პირველი ქილიდან გადაასხით წყალი, ბრინჯი გარეცხეთ და 10-15 წუთის განმავლობაში მოხარშეთ. ცარველ №1 ქილაში თავიდან დააყენეთ სამი კოვზი ბრინჯი წყალთან ერთად და ისევ ისე გააგრძელეთ, ყოველდღიურად წყლის ცვლა. მოხარშული ბრინჯი მარილის და ყველაფრის გარეშე მიირთვით და ორი საათი არაფერი ჭამოთ. მეორე დღეს, №2 ქილიდან ამოიღეთ, გარეცხეთ, მოხარშეთ, მიირთვით ბრინჯი და ისევ ახალი ბრინჯი და წყალი დააყენეთ. ამ პრინციპით გააგრძელეთ მკურნალობა ორმოცი დღის განმავლობაში. გისურვებთ ჯანმრთელობას! [presa.ge]

სახელგანთქმულ ქანდაკებათა საიდუმლოებანი

როდესაც ოგიუსტ როდენს ეკითხებოდნენ, თუ როგორ ქმნიდა ის თავის ქანდაკებებს, მოქანდაკემ უპასუხა: „მე ვიღებ მარმარილოს ლოდს და ვაცლი მას ყველაფერს, რაც ზედმეტია“.


აღბათ, ამიტომ ნამდვილი ოსტატის ქანდაკება ყოველთვის ქმნის სასწაულის შეგრძნებას: გერგენება, რომ იმ სილამაზის დანახვა, რომელიც ქვის ნატეხში იმალება, შეუძლია მხოლოდ გენიოსს...

დარწმუნებული ვართ, რომ პრაქტიკულად ხელოვნების ყოველ მნიშვნელოვან ნაწარმოებში არის გამოცანა, ორმაგი ფსკერი ან საიდუმლო ისტორია, რომელიც გინდა რომ ამოიცნო. დღეს ზოგიერთ მათგანს გააცნობთ.

„კოსნა“ უკოსნალად

ოგიუსტ როდენის ცნობილ ქანდაკებას „კოსნა“ თავდაპირველად ერქვა „ფრანჩესკა და რიზინი“ მასზე გამოსახული XIII საუკუნის ცნობილი იტალიელი ქალბატონის პატივსაცემად, ვისი სახელიც უკვდავყო დანტემ „ღვთაებრივი კომედიით“ (მეორე წრე, სიმღერა მეხუთე).

ქალბატონს შეუყვარდა თავისი ქმრის ჯოვან მალატესტის ძმა პაოლო. როდესაც კითხულობდნენ ლანსელოტისა და გენიევრის ისტორიას, ისინი დაინახა და მოკლა მისმა ქმარმა. როდესაც ქანდაკებას უყურებ, შეიძლება დაინახო, თუ პაოლოს როგორ უჭირავს წიგნი ხელში, მაგრამ სინამდვილეში საყვარლები არ ეხებებიან ერთმანეთს ტუჩებით, თითქოს მიგვანიშნებენ, რომ ისინი იყვნენ დახოცილები ცოდვის ჩადენამდე.




ოგიუსტ როდენი. „კოსნა“, 1882 წელი

ქანდაკებას სახელი უფრო განყენებული სახელწოდებით – „კოსნა“ – შეუცვალეს კრიტიკოსებმა, რომლებმაც იგი პირველად 1887 წელს ნახეს.

„ალი“ წამებანი

ქანდაკება „ალი“ კოპენჰაგენში – ერთ-ერთი ყველაზე მრავალტანჯულია მსოფლიოში: სწორედ ყველაზე მეტად ის უყვართ



ივან მერსტოვიჩი. „ალი“, 1913 წელი

ვანდალებს. მეტად მძაფრი იყო მისი გაჩენის ისტორია. იგი მრავალჯერ დაამტკიცეს და დახერხეს ნაწილებად. ახლაც შეიძლება აღმოჩნდეს მისი ოდნავ შესამჩნევი „ნაჭრეები“ კისერზე, რომლებიც გაჩნდა იმის აუცილებლობის გამო, რომ შეეცვალათ ქანდაკების თავი.

„ალი“ თავი ორჯერ მოაჭრეს: 1964 და 1998 წლებში, 1984 წელს მას მოაჭრეს მარჯვენა ხელი (ხერხით). 2006 წლის 8 მარტს ხელზე აღმართეს ფალომიტატორი, ყველაზე უბედური კი იყო მწვანე ფერის საღებავის შესხმა. თანაც ზურგს „ამშვენებდა“ ამოფხევილი წარწერა „გილოცავთ 8 მარტს!“

2007 წელს კოპენჰაგენის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ქანდაკება შეიძლება გადაიტანონ ნავსადგურის სიღრმეში, რომ თავიდან აეცილებინათ ვანდალიზმის შემთხვევები და ტურისტების მცდელობები – ასულიყვნენ მასზე.

მარმარილოს ვუალის საიდუმლოება

როდესაც უყურებ ქანდაკებას, რომელიც ნახევრადგამჭვირვალე მარმარილოს ვუალითაა დაფარული, უნებლიეთ ფიქრობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება საერთოდ ამის გაკეთება ქვით. მთელი საქმე იმ მარმარილოს განსაკუთრებულ სტრუქტურაშია, რომელსაც იყენებდნენ ასეთი ქანდაკებებისთვის. ლოდს, რომელიც უნდა გამოიქონოს, უნდა ჰქონებოდა ორი ფენა – ერთი უფრო გამჭვირვალე, მეორე უფრო მკვრივი. ძნელია ასეთი ბუნებრივი ქვების მოძებნა და ნახვა, მაგრამ ისინი არის. ოსტატს გონებაში ჰქონდა სიუჟეტი, მან იცოდა, კერძოდ, როგორი ლოდი უნდა ეძებონ.



რაფაელ მონტი. „მარმარილოს ვუალი“, 1513-1515 წლები

ის მუშაობდა მასზე, იცავდა ნორმალური ზედაპირის ტექსტურას, და მიდიოდა ზღვაზე, რომელიც ყოფდა ქვის უფრო მკვრივ და უფრო გამჭვირვალე ნაწილს. შედეგად, ამ გამჭვირვალე ნაწილის ნარჩენები „ამუქებდნენ“, რაც ვუალის ეფექტს იძლეოდა.

ფარადი ანტიკურობა

დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ ძველი ბერძნული თეორი მარმარილოს ქანდაკებები თავდაპირველად უფერული იყო. მაგრამ მეცნიერების ამ ცოტახნისწინან-




ივანბატორი ანტიკურობა

დელმა გამოკვლევებმა დაადასტურეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ქანდაკებებს ფერების ფართო გამეზობით ლეზადენენ, რომლებიც დროთა განმავლობაში ქრებოდნენ შუქისა და ჰაერის ზემოქმედებით.

რქინი მონა

მიქელანჯელომ თავის ქანდაკებაზე მოსე წარმოგვიჩინა რქებით. ხელოვნების ბევრი ისტორიკოსი ამას ბიბლიის არასწორი შემეცნებით ხსნის. გამოსვლის წიგნში ნათქვამია, რომ, როდესაც მოსე სინაის მთიდან დაეშვა სჯულის ფიცრებით, იუდეველებს უჭირდათ მის სახეში შეხედვა.

ბიბლიის ამ ადგილას ნახმარია სიტყვა, რომელიც ივრითიდან შეიძლება ვთარგმნოთ, როგორც „რქები“. მაგრამ კონტექსტის მიხედვით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქმე შეეხება სწორედ მზის სხივებს – რომ მოსეს სახე ანათებდა, და არ ყოფილა ორკაპი.



მიქელანჯელო ბუენაროტი. „მოსე“ 1513-1515 წ.წ.

„ნიკე სამოთრაკიელი“ შესანიშნავი არასრულყოფილება

ნიკის ქანდაკება სამოთრაკის კუნძულზე 1863 წელს ფრანგმა კონსულმა და არქეოლოგმა შარლ შამპუაზომ აღმოაჩინა. პარიის ოქროსფერი მარმარილოსაგან გამოქონდა ქანდაკებას კუნძულზე ამშვენებდა ღვთაებათა საკურთხეველი.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ უცნობმა მოქანდაკემ შექმნა „ნიკე“ II საუკუნეში ჩვენს ერამდე ბერძნების საზღვაო გამარჯვებათა აღსანიშნავად. ღვთაების ხელები და თავი დაკარგულია სამუდამოდ. არაერთგზის შეეცადნენ აღედგინათ ხელების თავდაპირველი მდგომარეობა. ვარაუდობენ, რომ მალა ანეულ მარჯვენა ხელს უჭირავს თასი, გვირგვინი ან ბუცი.



„ნიკე სამოთრაკიელი“, II საუკუნე ჩვენს ერამდე

საინტერესოა, რომ ქანდაკების ხელის აღდგენის მრავალჯეროვანი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა – ყველა მათგანი შედეგს აფუჭებდა. ეს წარუმატებლობანი გვაძლევს ვალიაროთ: „ნიკე“ მშვენიერია სწორედ ასეთი, სრულყოფილი თავის არასრულყოფილებაში.

ვენერა მილოსლის ხალაბი

ვენერას ფიგურას პარიზის ლუვრში საპატიო ადგილი უკავია. ვილაც ბერძენმა გლეხმა იგი 1820 წელს მილოსის კუნძულზე აღმოაჩინა. აღმოჩენის დროისათვის ფი-



„ვენერა მილოსელი“, დაახ. 130-100 წელი ჩვენს ერამდე.

გურა გატეხილი იყო ორ დიდ ფრაგმენტად. ღვთაებას მარცხენა ხელში ვაშლი ეჭირა, მარჯვენათი იჭერდა ჩაცმულ ტანსაცმელს.

როდესაც ამ ძველი ქანდაკების ისტორიული მნიშვნელობა შეიცნეს, საფრანგეთის სამხედრო ფლოტის ოფიცრებმა გასცეს განკარგულება – ნაეღოთ მარმარილოს ეს ნაკეთობა კუნძულიდან. როდესაც ვენერა გადაჰქონდათ კლდეების გავლით მომოდინე სომალისაკენ, გადაზიდვების შორის მოხდა ჩხუბი, და ორივე ხელი მოწყდა. დაღლილმა მეზღვაურებმა კატეგორიული უარი განაცხადეს დაბრუნებულ იყვნენ უკან და ეძებნათ დარჩენილი ნაწილები.

ციცხალი ანეკდოტები

სოკრატეს თანამედროვეებმა ჩაინერგეს მისი სიტყვები: „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ და, შეურაცხყოფილებს, არ ჩაუწერიათ მათი გაგრძელება: „თქვენ კი, ვირებო, ესეც არ იცით“.

დედაპატრო, შენ დიასახლისი არა ხარ! შენ სახლის მენეჯერი ხარ!!!

იცეპევი, თითქოს ვერაფერი ვერ გხედავს. იმდერე, თითქოს ვერაფერი ვერ გხმენს.



ლანძღე ხელისუფლება, თითქოს ვერ ვეოდა პოლიტიკაში.

ოპტიმიზმსაც მუდამ თან სდევს უსიამოვნებები, მაგრამ ისინი მას ვერ ეწევიან.

– გადავწყვიტე, რომ ქორწილის ხარჯზე ფული დავზოგო.
– რანაირად?
– ქორწილი არ იქნება.

თუ გემი იძირება, სისულელეა ხერხების მხოლოდ შენს კაიუტაში ამოქოლება.

<p>ავტორთა საპურადღებო</p> <p>რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.</p>	<p>საქართველოს რესპუბლიკა</p> <p>SAKARTVELOS RESPUBLIKA</p> <p>მ. ანკვლიანის (მთვინი) პერომსკიანის) ქ. 19</p> <p>ინფორმაცია 66434</p>	<p>გამომცემელი: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79)</p> <p>შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)</p>	<p>ua(უა)070.4(479.22) 5-323</p> <p>ISSN 2233-3851</p> <p>9 772233 1385001</p>	<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>ალეკო ასლანიშვილი</p> <p>299-62-77; 599 56-81-86</p>	<p>პასუხისმგებელი რედაქტორები:</p> <p>გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსიანი 599 17-21-21; სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35</p> <p>პასუხისმგებელი მდივანი</p> <p>მამუკა ვაშაძე 514 33-33-24</p>
--	--	--	--	--	--